პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

KOMUNISTI ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 30-ე წელი

ოთხშაბათი, 25 სექტემბერი, 1949 წ. № 191 (8494). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

პარტიული აქტივი — მოწინავე (1-ლი გვერდი).

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პატაკი ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი პურის დამზადების სახელმწიფო გეგმის შესრულების შესახებ (1-ლი გვერდი).

შემოდგომა-ზამთრის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შესახებ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება (1-ლი და მე-2 გვერდი).

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (მე-2 გვერდი).

პროფესორი ა. ბაკურაძე—ივანე პეტრეს-ძე პავლოვი (მე-3 გვერდი).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეოთხე სესიაზე (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ამბები—დეპეშები (მე-4 გვერდი).

პარტიული აქტივი

პარტიული ორგანიზაციის წინაშე დასახული ამოცანის გადაჭრაში გადამწყვეტ როლს პარტიული აქტივი ასრულებს. პარტიული ორგანიზაციის მუშაობის შინაარსი, მისი ძალა დიდად არის დამოკიდებული აქტივის ბრძოლისუნარიანობაზე, მის იდეურ მომზადებასა და პრაქტიკულ წრთობაზე.

პარტიული აქტივი მოწოდებულია მჭიდრო კავშირში იყოს ფართო მასებთან, იცოდეს მათი მოთხოვნები, განწყობილება, სათავეში ედგეს და რაზმავდეს მათ პარტიის პოლიტიკის განხორციელებისათვის საბრძოლველად. რაც უფრო დარაზმული და მაღალიდეიური აქტივი, მით უფრო ნაყოფიერი და შინაარსიანია ამა თუ იმ კოლექტივის სამეურნეო და პოლიტიკური საქმიანობა, მისი ბრძოლა სტალინური დავალებათა ბოლშევიკურად განხორციელებისათვის.

აქედან გასაგებია, თუ რა სერიოზული ამოცანა დგას თვითეული პარტიული ორგანიზაციის, მისი ხელმძღვანელის წინაშე პარტიული აქტივის აღზრდისა და მუშაობაში მისი უნარიანად გამოყენების საქმეში.

თვითეულ პარტიულ კომიტეტს, პირველად პარტიულ ორგანიზაციას, პარტიის საქალაქო და რაიონულ კომიტეტს და მათ ხელმძღვანელებს მოეთხოვებათ განუწყვეტელი კავშირი ჰქონდეთ პარტიულ აქტივთან, გამოეხმაურონ მის საქმიან შენიშვნებს, გაბედულად გამოიყენონ იგი გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარებისათვის. მაგრამ ეს აქტივთან მუშაობის ერთი მხარეა. მთავარია აქტივის იდეურად გამოწრთობა, მარქსისტულ-ლენინური თეორიით მისი შეიარაღება. მიღწეულ უნდა იქნას, რომ აქტივი დაუღალავად იძაღლებდეს თეორიული მომზადების დონეს, უკლებლივ ყოველი აქტივისტი ჩაბმული იყოს მარქსისტულ-ლენინური სწავლების ამა თუ იმ ფორმაში. პარტიული კომიტეტი, პარტიული ორგანიზაცია და მისი ხელმძღვანელი მოვალეა სისტემატურად ამოწმებდეს და ეხმარებოდეს აქტივისტებს. ამასთან არ უნდა დავივიწყოთ, რომ პარტიული აქტივის ზრდა, მისი გამოწრთობა პრაქტიკულ მუშაობაში ხდება. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება სწორედ ამ საკითხს უნდა მივაპყროთ. ყოველი აქტივისტი თავისი ცოდნის, გამოცდილებისა და უნარის მიხედვით მუშაობის ისეთ უბანზე უნდა გამოვიყენოთ, სადაც მას ყველაზე მეტი ნაყოფის მოცემა შეუძლია, სადაც ის გაიზრდება.

ჩვენი რესპუბლიკის საწარმოთა და საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციების დიდ უმრავლესობას აქტივთან მუშაობა პირველი რიგის ამოცანად აქვს მიჩნეული.

თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის პარტიული ორგანიზაცია გულმოდგინედ მუშაობს პარტიულ აქტივთან, მოხერხებულად იყენებს მას პარტიულ-პოლიტიკური საქმიანობის მრავალფეროვანი საკითხების გადაჭრისათვის. ქარხნის პარტიული კომიტეტი (მდივანი გ. სტურუა) რეგულარულად აწყობს საამქროთა პარტიული ორგანიზაციების მდივნების, ბიუროს წევრების, პროპაგანდისტების, კონსულტანტების, აგიტატორების შეკრებას. პარტიული კომიტეტის წევრები თათბირობენ მათთან, ამახვილებენ აქტივის ყურადღებას წარმოების საჭირბოროტო საკითხებისადმი, უსახავენ კონკრეტულ ამოცანებს. აქტივის უშუალო მონაწილეობით ხდება ადგილობრივი და ზემდგომი ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა ორგანოების გადაწყვეტილებების შესრულების შემოწმება. პარტიული აქტივისათვის აქ ხშირად ეწყობა კვალიფიციური ლექციები, მოხსენებები, კონსულტაციები, ექსკურსიები ისტორიული ადგილების გასაცნობად. პარტიული ორგანიზაცია დროულად ეხმაურება აქტივის საქმიან შენიშვნებს. ამ ორგანიზაციის ყოველი აქტივისტი პასუხისმგებლობითა და სიყვარულით ეკიდება მინდობილ საქმეს, სათავეში უდგას ქარხნის კოლექტივის მიერ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა განხორციელებისათვის ბრძოლას. ამიტომაც არის, რომ ამ ქარხნის კოლექტივი პარტიული ორგანიზაციის ხელძღვანელობით სისტემატურად ასრულებს საწარმოო დავალებებს. ქარხანა დამსახურებულად დგას რესპუბლიკის მოწინავე საწარმოთა რიგებში.

პარტიულ აქტივთან კარგად მუშაობენ და მთელი შინაპარტიული საქმიანობის უკეთ მოწყობის საქმეში სასურველ შედეგს აღწევენ ქუთაისის ლითოპონის, ამიერკავკასიის რკინიგზის ნავთლუღის კვანძის, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის, მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ბერიას სახელობის კოლმეურნეობის, თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის, ქობულეთის რაიონის სოფელ ქვედა ულიანოვკის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის და რესპუბლიკის მრავალი სხვა საწარმოსა და კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციები. მაგრამ სამწუხაროდ ყველგან ასე როდია. ჯერ კიდევ მოიპოვება ისეთი პარტიული ორგანიზაციები, სადაც უგულებელყოფენ პარტიულ აქტივთან მუშაობას, მის როლს.

თბილისის ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის პარტორგანიზაციაში, სადაც 260-მდე კომუნისტი ითვლება, პარტიული აქტივის აღრიცხვაც კი არა აქვთ. აქტივთან აქ თითქმის არავითარ მუშაობას არ აწარმოებენ. პარტიული კომიტეტისა და საამქროთა პარტიული ორგანიზაციების ბიუროს სხდომებზე არ იხილავენ აქტივთან მუშაობის საკითხებს. პარტიული აქტივის დასახმარებლად აქ იშვიათად აწყობენ თათბირებს, სემინარს, კონსულტაციებს. პარტიული კრებები აქტივის მონაწილეობის გარეშე მზადდება. პარტიული კომიტეტი არ ზრუნავს დადგენილებათა შესრულების შემოწმებისათვის, ამ საქმეში არ იყენებს პარტიულ აქტივს. პარტიულმა კომიტეტმა კარგად არ იცის, როგორ მუშაობენ საამქროთა პარტიული ორგანიზაციები. ამის შედეგია, რომ თითქმის ყველა საამქროს პარტიულ ორგანიზაციაში ძალიან სუსტად არის დაყენებული პარტიულ-პოლიტიკური და მასობრივ-საგაგიტაციო მუშაობა. პარტიულ აქტივთან მუშაობის სუსტად დაყენებას და მისი როლის შეუფასებლობას არ შეიძლებოდა უარყოფითი გავლენა არ მოეხდინა ფაბრიკის მთელი კოლექტივის საქმიანობაზე. ასეც მოხდა. ფაბრიკამ ჯერ კიდევ ვერ შეძლო თავი დაეღწია ჩამორჩენისათვის, ამოეფხვრა წუნდებული პროდუქციის გამოშვების შემთხვევები.

პარტიულ აქტივთან სუსტი მუშაობის ანალოგიური შემთხვევებია რესპუბლიკის სხვა პარტიულ ორგანიზაციებშიც.

საწარმოთა და საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორული როლი სამეურნეო და პოლიტიკური ამოცანების ბოლშევიკურად გადაჭრის საქმეში განსაკუთრებით დიდია ახლა, როცა ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად თავდადებით იბრძვიან ომისშემდგომი სტალინური ხუთწლიანი გეგმის ვადამდე განხორციელებისათვის. პარტიულ აქტივთან მუშაობის კარგად მოწყობა, განუხრელი ზრუნვა მარქსისტულ-ლენინური თეორიით მისი შეიარაღებისათვის, ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობაში მისი როლის ამაღლებისათვის, დაეხმარება პარტიულ ორგანიზაციებს მათ წინაშე მოგომი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტაში.

შემოდგომა-ზამთრის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შესახებ

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება

მოისმინა რა ცენტრალური კომიტეტის სასოფლო-სამეურნეო განყოფილების გამგის ამხ. ს. ჭელიძის მოხსენება შემოდგომა-ზამთრის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შესახებ, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს, რომ საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა, კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და მტს-ებმა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმისა და საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის დადგენილებების განსახორციელებლად დიდი მუშაობა გასწიეს 1949 წელს საოსფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანის გასაუმჯობესებლად და მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს მათი მოსავლიანობის გადიდებაში.

რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა გადაჭარბებით შეასრულეს 1949 წლის მოსავლისათვის საშემოდგომო და საგაზაფხულო კულტურების თესვის გეგმა. მეტწილ რაიონებში საშემოდგომო თესვა დროულად და მაღალხარისხოვნად ჩატარდა.

მიუხედავად მიმდინარე წლის გაზაფხულის არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობებისა, საქართველოს ბევრმა რაიონმა მარცვლეული, ტექნიკური და სხვა კულტურების თესვა დაწესებულ აგროტექნიკურ ვადებში დაამთავრა. საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში ჩატარდა აგრეთვე თამბაქოს რგვა და მრავალწლიანი კულტურების გაშენება.

მარცვლეულის ძირითადი რაიონები (წითელწყაროს, ლაგოდეხის, სიღნაღის, ყვარლის, ხაშურის, აბაშის, გალის და სხვ.) მარცვლეულის უხვ მოსავალს იღებენ. მთლიანად რესპუბლიკაში სიმინდის, თამბაქოს, ბამბისა და შაქრის ჭარხლის უხვი მოსავალია მოსალოდნელი.

ბევრად გაუმჯობესდა ჩაისა და ციტრუსოვანთა პლანტაციების, ბაღებისა და ვენახების, აგრეთვე სხვა მრავალწლიანი სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების საერთო მდგომარეობა, რაც უზრუნველყოფს წელს უფრო მაღალი მოსავლის მიღებას, ვიდრე გასულ წლებში, და შესაძლებლობას იძლევა, არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც შესრულდეს სასოფლო - სამეურნეო პროდუქტების დამზადების სახელმწიფო გეგმები.

წარმატებით სრულდება ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის სახელმწიფო გეგმა. 15 სექტემბრისათვის მოიკრიფა და მრეწველობას ჩაბარდა 14.208 ტონით მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ვიდრე 1948 წლის ამავე რიცხვისათვის. სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების გეგმა შესრულებულია 75,7 პროცენტით, აქედან ხორბლისა— 96,1 პროცენტით. გადაჭარბებით შესრულებულია აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა.

ამასთან ერთად საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს, რომ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-დამუშავების საქმეში მოპოვებული მიღწევების მიუხედავად, ზოგიერთ რაიონში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი, რომლებიც ხელს უშლიან მოსავლიანობის გადიდებას.

კასპის, გორის, თელავის, გარდაბნის, კაჯრეთის, საგარეჯოსა და მარნეულის რაიონების კოლმეურნეობებმა დიდი დაგვიანებით დაამთავრეს საშემოდგომო თესვა 1949 წლის მოსავლისათვის.

აღნიშნული რაიონების მთელ რიგ კოლმეურნეობებში თესვა ჩაატარეს დანაგვიანებული და არაკონდიციური თესლით, რის შედეგადაც ეს რაიონები მიმდინარე წელს თავთავიანი კულტურების დაბალ მოსავალს იღებენ.

რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა მზრალად ხვნის გეგმა 1948 წლის შემოდგომაზე მხოლოდ 91 პროცენტით შეასრულეს. მნიშვნელოვანი დანაკლისით შეასრულეს მზრალად ხვნის გეგმა ადიგენის, კასპის, საგარეჯოს, ქარელის, მარნეულისა და ბოლნისის რაიონებმა.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს, რომ თავთავიანი კულტურების დაბალი მოსავლის მიღების ერთ-ერთი მიზეზია აგრეთვე სუსტი მუშაობა თავთავიანი კულტურების არსებული ჯიშების გაუმჯობესებისა და მეთესლეობის დარგში.

საქართველოს სახელმწიფო სასელექციო სადგური და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მემინდვრეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ მარცვლეული კულტურების ახალი, უხვმოსავლიანი ჯიშების გამოყვანა-დანერგვისა და მათი მოსავლიანობის გადიდების დარგში.

ნელი ტემპით ხორციელდება ნათესბალახიან თესლბრუნვათა შემოღება და ათვისება. ამის ძირითადი მიზეზია კოლმეურნეობების არასაკმაო უზრუნველყოფა მრავალწლიანი ბალახების საკუთარი თესლით.

მთელი რიგი რაიონების (კაჯრეთის, თელავის, ყვარლის, დმანისის) კოლმეურნეობებში თესლბრუნვათა გარდამავალი პერიოდის გეგმა არ სრულდება.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს, რომ ზოგიერთი რაიონის (წულუკიძის, ხობის, წყალტუბოს, ჩხოროწყუს, ლანჩხუთის) კოლმეურნეობებში არის შემთხვევები, რომ ჩაის პლანტაციების ცალკეული ნაკვეთები ჯეროვნად არ დაუმუშავებიათ.

მთელ რიგ სუბტროპიკულ რაიონებში გასული წლის შემოდგომაზე ციტრუსოვანთა პლანტაციების გაშენება გააჭიანურეს 1 დეკემბრამდე. ამის შედეგად ახლად გაშენებული პლანტაციების ნაწილი დაზიანდა ყინვებისაგან, ხოლო ზუგდიდის, ლანჩხუთის, ხობისა და ცხაკაიას რაიონების კოლმეურნეობებში, იმის გამო, რომ ციტრუსოვანთა ნერგები გვიან მიმარხეს გრუნტის ფარდულებში, ნერგების დიდი რაოდენობა დაიღუპა ყინვებისაგან.

ნელი ტემპით მიმდინარეობს ნიადაგის მომზადება ჩაის, ციტრუსოვანთა პლანტაციებისა და ვენახების საშემოდგომო და საგაზაფხულო გაშენებისათვის.

აგროტექნიკური ღონისძიებების გაუტარებლობის გამო მთელი რიგი რაიონების კოლმეურნეობებში არის ხეხილის ახალგაზრდა ბაღების დაღუპვის შემთხვევები. დაბალია ნამყენი ვაზის გახარების პროცენტი სანერგეებში და ფილოქსერაგამძლე საძირე ვაზის გამოსავლიანობა სადედეებში.

ახალციხის, ასპინძის, გორის, მცხეთის, ხაშურის, საგარეჯოს რაიონებისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობებმა არ შეასრულეს ვენახის საგაზაფხულო გაშენების გეგმა, ხოლო კასპის, თბილისისა და მარნეულის რაიონების კოლმეურნეობებს გაზაფხულზე სულაც არ გაუშენებიათ ვენახები.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმს მიაჩნია, რომ ამჟამად სოფლის მეურნეობის დარგში უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლის აღება დროულად და უდანაკარგოდ, პურის, თამბაქოს, შაქრის ჭარხლის, ყურძნის, ციტრუსოვანთა ნაყოფისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების გეგმების შესრულება; საშემოდგომო თესვისა და მზრალად ხვნის დროულად და მაღალხარისხოვნად ჩატარება, შემოდგომაზე მრავალწლიანი კულტურების გაშენებისა და შემოდგომა-ზამთრის სხვა სამუშაოთა გეგმების წარმატებით შესრულება.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს, რომ საქართველოს მტს-ებმა, რომლებმაც დაწესებულ ვადაზე დაამთავრეს მოსავლის აღება, შეანელეს საშემოდგომო ხვნის, ანეულის კულტივაციისა და მზრალად ხვნის ტემპები, მიმდინარე წლის 10 სექტემბრისათვის ანეულის კულტივაციის გეგმა მათ მიერ შესრულებულია 77,6 პროცენტით, მზრალად ხვნისა კი — მხოლოდ 35,8 პროცენტით.

სერიოზული ნაკლოვანებებია მტს-ების სატრაქტორო პარკის გამოყენებისა და დატვირთვის საქმეში. ერთი ტრაქტორის საშუალო გამომუშავება 10 სექტემბრისათვის წლიური გეგმით გათვალისწინებული 288 ჰექტარიდან უდრის 199 ჰექტარს. რესპუბლიკის მტს-ებს არ გაუშლიათ მუშაობა შემოდგომა-ზამთრის რემონტისათვის მოსამზადებლად და ხელიდან უშვებენ ამისათვის საუკეთესო დროს.

ნელი ტემპით სრულდება წყალსამეურნეო სამუშაოები. 10 სექტემბრისათვის სამუშაოთა წლიური გეგმა კაპიტალური მშენებლობის ხაზით შესრულებულია შემდეგი რაოდენობით: მიწის სამუშაოთა გეგმა—59,5 პროცენტით, ბეტონისა—46,6 პროცენტით, ინერტული მასალების მიზიდვისა — 77,6 პროცენტით.

არსებული სარწყავი ქსელის რემონტისა და ტექნიკური სრულყოფის სამუშაოთა კალენდარული გეგმები შესრულებულია 32,6 პროცენტით.

განსაკუთრებით ჩამორჩენილია თეზი-ოკამის სარწყავი არხისა და მესხეთის წყალსამეურნეო ობიექტების მშენებლობა, აგრეთვე ჩაის პლანტაციების გასაშენებლად განკუთვნილი მასივების მელიორაციის სამუშაოები.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს, რომ ბევრ რაიონში ჯერ კიდევ არასაკმაოდ არის მოწყობილი მუშაობა „კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საზოგადოებრივი პროდუქტიული მეცხოველეობის განვითარების 1949-1951 წლების სამწლიანი გეგმის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განსახორციელებლად.

არადამაკმაყოფილებლად სრულდება საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების გეგმა, განსაკუთრებით მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ხაზით. ლანჩხუთის, გარდაბნის, ყვარლის, წალენჯიხის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, ქარელის, გურჯაანის, ზესტაფონისა და ჭიათურის რაიონების კოლმეურნეობებში ადგილი აქვს საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობის დიდ შემცირებას გასულ წელთან შედარებით.

ბევრი კოლმეურნეობა, რომელსაც არა აქვს დაწესებული ოთხი ფერმა, დღემდე არ შესდგომია ამ ფერმების მოწყობას.

ლანჩხუთის, ხობის, მახარაძის, ჩხარის, ვანის, გარდაბნის, თელავის, სიღნაღის, ლაგოდეხის, ყვარლისა და გურჯაანის რაიონების კოლმეურნეობებში საფურაჟე ძროხების წველადობა დიდად შემცირებულია გასულ წელთან შედარებით.

ცუდად არის მოწყობილი ჯიშთა შორის შეჯვარება, ჯიშიანი პირუტყვის აღრიცხვა, გამაუმჯობესებელი ჯიშების შერჩევა და ჯიშიანი მწარმოებლების გამოზრდა.

მთელი რიგი რაიონების პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები სათანადო ზომებს არ იღებენ პირუტყვის გამოზამთრების მოსაწყობად.

სრულიად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს პირუტყვის სადგომების რემონტი და მშენებლობა, უხეში და წვნიანი საკვების დაგროვება.

პლენუმი აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს კოლმეურნეთა შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და შრომის ნაყოფიერების გაზრდის საქმეში. დიდი მუშაობაა გაწეული მუდმივი საწარმოო ბრიგადებისა და რგოლების განსამტიცებლად და წვრილი ჯგუფური და ინდივიდუალური სანარდო სისტემის ფართოდ დასანერგად.

ამასთან ერთად მთელი რიგი რაიონების კოლმეურნეობებში ამ საქმეში კვლავ ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს. ვანის, ჩხარის, გურჯაანის, ბოგდანოვკის, სტალინირისა და მთელ რიგ სხვა რაიონებში კოლმეურნეთა მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ არ ასრულებს შრომადღეების საქალდებულო მინიმუმს.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმს მიაჩნია, რომ მოსავლის აღების დროულად დამთავრება, სახელმწიფოს წინაშე ვალდებულებათა შესრულება, საშემოდგომო თესვისა და მზრალად ხვნის მაღალხარისხოვანი დონით და დაწესებულ აგროტექნიკურ ვადებში ჩატარება, მრავალწლიანი ნარგავების მოვლის შემოდგომა-ზამთრის სამუშაოთა გეგმის შესრულება და პირუტყვის გამოზამთრების კარგად მოწყობა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის გადამწყვეტი პირობებია.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს კ. პ. (ბ) საოლქო და რაიონულ კომიტეტებსა და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს:

ა) გააძლიერონ საშემოდგომო კულტურების დასათესად ნიადაგის მომზადებისა და მზრალად ხვნის ტემპები. არ დაუშვან ნიადაგის არასრულ სიღრმეზე ხვნა, ხარვეზების დატოვება და უწინასახნისო გუთნებით ხვნა. უზრუნველყონ საშემოდგომო თესვისა და მზრალად ხვნის მაღალი ხარისხით ჩატარება;

ბ) უახლოეს დღეებში დაამთავრონ საჭირო რაოდენობით თავთავიანი კულტურების ჯიშიანი თესლის გამოყოფა, გაწმენდა და სათეს კონდიციამდე აყვანა;

გ) ფართოდ გაშალონ საშემოდგომო კულტურების თესვა, მაქსიმალურად გამოიყენონ კოლმეურნეობებსა და მტს-ებში არსებული ყველა მწკრივად სათესი მანქანა და უზრუნველყონ საშემოდგომო თესვის ჩატარება ძირითადად მწკრივად, აგრეთვე ჯვარედინი წესით;

დ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქცინონ მოცემული რაიონისა და კოლმეურნეობისათვის დაწესებული თესვის ვადებისა და ნორმების დაცვას და გადამწყვეტი ბრძოლა აწარმოონ თესვის გაჭიანურებისა და აგრეთვე უხარისხო და შეუწამლავი თესლის დათესვის წინააღმდეგ.

2. საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ავალებს პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების ხელმძღვანელებს შეადგინონ თვითეული კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობისა და მტს-ის მიხედვით საშემოდგომო თესვისა და მზრალად ხვნის სამუშაო გეგმები, გაითვალისწინონ ამ გეგმებით ამ სამუშაოთა სწორი შეხამება სხვა შემხვედრ სამუშაოებთან, უზრუნველყონ მუშახელისა და საწარმოო საშუალებების რაციონალური განაწილება და ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოს ჩატარება დაწესებულ აგროტექნიკურ ვადებში.

3. დაევალოს საქართველოს კ. პ. (ბ) საოლქო და რაიონულ კომიტეტებსა და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს თავთავიანი კულტურების ყველა ნათესი მიამაგრონ ბრიგადებს, ხოლო იქ, სადაც შესაძლებელია, რგოლებსაც;

გამოჰყონ კოლმეურნეობებში სათესლე ნაკვეთები გეგმით გათვალისწინებული ოდენობით; ჩაატარონ შემოდგომაზე საშემოდგომო ნათესების მარგვლა სარეველების მოსამორგებლად და რწყვა დაწესებულ ვადებში, ამასთან არ დაუშვან ნათესების ამოლპობა წყლის ჩადგომისაგან; გაატარონ ღონისძიებანი მინდვრის თაგვის მოსასპობად და უზრუნველყონ ნათესების დაცვა პირუტყვისაგან.

4. დაევალოს საქართველოს კ. პ. (ბ) საოლქო და რაიონულ კომიტეტებსა და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს უზრუნველყონ 1949 წელს თესლბრუნვათა შემოღებისა და ათვისების დავალების შესრულება და გარდამავალი პერიოდის გეგმის ზუსტად დაცვა.

5. წინადადება მიეცეს პარტიულ, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს, მტს-ების დირექტორებს და კოლმეურნეობების თავმჯდომარეებს აამაღლონ პასუხისმგებლობა მტს-ებისა და კოლმეურნეობების ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ორმხრივი ვალდებულებების შესრულებისათვის და უზრუნველყონ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა გეგმის შესრულება მაღალი აგროტექნიკური დონით;

გაუმჯობესონ სატრაქტორო პარკის გამოყენება და წლის დამლევამდე მიაღწიონ თვითეული პირობითი 15-ძალიანი ტრაქტორით სულ მცირე 300 ჰექტარის გამომუშავებას.

6. დაევალოს საქართველოს კ. პ. (ბ) საოლქო და რაიონულ კომიტეტებს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მტს-ების დირექტორებს ა. წ. 15 ოქტომბრამდე შეამოწმონ მტს-ების მზადყოფნა ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების შემოდგომა-ზამთრის რემონტის ჩატარებისათვის და დასახონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ მათი რემონტის გეგმის შესრულებას მაღალხარისხოვნად და მთავრობის მიერ დაწესებულ ვადაზე.

7. დაევალოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გააძლიერონ მუშაობა ხორბლისა და სიმინდის ახალი უხვმოსავლიანი ჯიშების გამოსაყვანად და წარმოებაში დასანერგავად, აგრეთვე შეიმუშაონ ღონისძიებანი ღომის თესვის აღსადგენად და ფართოდ გასავრცელებლად.

8. გაუმჯობესდეს მუშაობა მეთესლეობის რაიონულ მეურნეობებსა და მარცვლეული და ზეთოვანი კულტურების მეთესლეობის კოლმეურნეობებში იმ ანგარიშით, რომ უზრუნველყოფილ იქნას თესვის გეგმა დარაიონებული უხვმოსავლიანი წმინდა ჯიშების თესლით. გადაისინჯოს და დაზუსტდეს მარცვლეული კულტურების

(დასასრული მე-2 გვერდზე)

მოსკოვი, კრემლი

ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

მოგახსენებთ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, რომ საქართველოს სსრ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვადამდე შეასრულეს პურის დამზადების წლიური გეგმა (სიმინდის ჩაუთვლელად). ხორბლის ჩაბარების გეგმა შესრულებულია 100 პროცენტით. სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარება გრძელდება.

რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს ვადამდე, გადამეტებით შეასრულონ სიმინდის დამზადების გეგმაც.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი
კ. ჩარკვიანი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ზ. ჩხუბიანიშვილი

სსრ კავშირის დამზადებათა სამინისტროს რწმუნებული საქართველოს სს რესპუბლიკაში დ. ხაფთაძე

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი ბ. ალავიძე

აფხაზეთის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა შეასრულეს მარცვლეულის ჩაბარების სახელმწიფო გეგმა

აფხაზეთის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა 22 სექტემბრისათვის 112 პროცენტით შეასრულეს მარცვლეულის ჩაბარების სახელმწიფო გეგმა. მარცვლეულის ჩაბარება გრძელდება.

შემოდგომა-ზამთრის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შესახებ

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება

(დასასრული)

თესვის მოქმედი ვადები და თესვის ნორმები.

9. დაევალოს პარტიის რაიკომებს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სსრ კავშირის დამზადებათა სამინისტროს რწმუნებულს საქართველოს სს რესპუბლიკაში გაატარონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ თავთავიანი მარცვლეული კულტურებისა და აგრეთვე ბალახთა სათესლე ნაკვეთების მოსავლის აღებისა და ლეწვის დამთავრებას, მოაწყონ სიმინდის შერჩევით აღება და შრობა, ამასთან დაუწესონ კოლმეურნეობებს სიმინდის ჩაბარების ყოველდღიური დავალებანი და მიაღწიონ სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების გეგმის ვადამდე შესრულებას.

10. დაევალოს საქართველოს კ. პ. (ბ) საოლქო და რაიონულ კომიტეტებს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის დამზადებათა სამინისტროს რწმუნებულს საქართველოს სს რესპუბლიკაში, ცეკავშირს, სამტრესტს, შამპანური ღვინოების კომბინატს და კონსერვტრესტს გააძლიერონ ყურძნის, ციტრუსოვანთა ნაყოფის, შაქრის ჭარხლის, ბამბისა და სხვა კულტურების მოსავლის აღებისა და დამზადებისათვის მზადება; უზრუნველყონ ამ კულტურების მოსავლის აღების ჩატარება შემჭიდროებულ ვადებში და უდანაკარგოდ; მოაწყონ მოსავლის სწორი აღრიცხვა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, აგრეთვე დანაკარგებთან და დატაცებასთან ბრძოლა; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ტექნიკური ბაზის მომზადებას და მიაღწიონ ციტრუსოვანთა ნაყოფის, ყურძნისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების შეუფერხებელ მიღებასა და გადამუშავებას.

11. დაევალოს საქართველოს კ. პ. (ბ) საოლქო და რაიონულ კომიტეტებს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და კვების მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს ჩაის ტრესტს და საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტს გააძლიერონ ჩაის ფოთლის კრეფა, დაუწესონ ყოველდღიური დავალებანი თვითეულ კოლმეურნეობას, ბრიგადას, რგოლს, თვითეულ მკრეფავს, უზრუნველყონ მთელი შემოსული ფოთლის კრეფა ნაზი დუყების ჩათვლით და მიაღწიონ სახელმწიფოსათვის გეგმის გადამეტებით სულ მცირე 5 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთლის ჩაბარებას.

12. დაევალოს საქართველოს კ. პ. (ბ) საოლქო და რაიონულ კომიტეტებს და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს:

ა) ჩაისა და ციტრუსოვანთა პლანტაციების შემოდგომაზე გაშენების გეგმის შესასრულებლად დაამთავრონ ნიადაგის მომზადება არაუგვიანეს ა. წ. 1 ოქტომბრისა, ამავე დროს დაუყოვნებლივ შეუდგნენ ნიადაგის მომზადებას 1950 წლის გაზაფხულზე ჩაისა და ციტრუსოვანთა პლანტაციების გასაშენებლად და ეს მუშაობა დაამთავრონ წლის დამლევამდე; ამ მიზნით თვითეულ კოლმეურნეობას და საბჭოთა მეურნეობას დაუწესონ ნიადაგის მომზადების ხუთდღიური დავალებანი, ხოლო თვითეულ ბრიგადას, რგოლს, კოლმეურნეს და სატრაქტორო ბრიგადას — ყოველდღიური დავალებანი;

ბ) უზრუნველყონ ლიმონისა და ფორთოხლის გაშენება 3.185 ჰექტარ ფართობზე 1949 წლის 15 ოქტომბრამდე, ხოლო ჩაის პლანტაციების გაშენება 2.060 ჰექტარზე 1950 წლის 1 იანვრამდე;

გ) დაამთავრონ ციტრუსოვანთა ნერგების მიმარხვა გრუნტის ფარდულებში არაუგვიანეს ა. წ. 10 ნოემბრისა და გაატარონ ყველა ღონისძიება სარგავი მასალის მთლიანად შენახვისა და ციტრუსოვან ნარგავთა ნორმალური გამოზამთრების უზრუნველსაყოფად;

დ) მოაწყონ შემოდგომა-ზამთრის პერიოდში ორგანული სასუქების საჭირო რაოდენობის შეზიდვა პლანტაციებში, 1950 წლის გაზაფხულზე ციტრუსოვანთა ნარგავებში მათი დროულად შეტანის უზრუნველსაყოფად;

ე) ჩაის ფოთლის კრეფის დამთავრების შემდეგ დაუყოვნებლივ შეუდგნენ ჩაის პლანტაციებში შემოდგომა-ზამთრის სამუშაოთა ჩატარებას, უზრუნველყონ ნიადაგის საზამთრო ბარვის ხარისხოვნად შესრულება ფოსფორიანი და კალიუმიანი სასუქების შეტანით, აგრეთვე სადრენაჟო ქსელის რემონტი და გაწმენდა, ქარსაფარი ზოლებისა და ცოცხალი ღობეების გაშენება;

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ჩაის ახალგაზრდა პლანტაციების დამუშავებას, მოვლას და პირუტყვისაგან დაცვას, აგრეთვე მიიღონ ყველა საჭირო ზომა ჩაის თესლის თავის დროზე შესაგროვებლად;

ვ) მავნებლებით და ავადმყოფობით დაავადების კერების ლიკვიდაციის მიზნით უზრუნველყონ მიმდინარე წლის დამლევამდე ჩაისა და ციტრუსების პლანტაციებში ფუმიგაციის გეგმის შესრულება;

ზ) მიმდინარე წლის დამლევამდე უზრუნველყონ კოლმეურნეობებში მინერალური სასუქის საწყობების მშენებლობის გეგმის შესრულება და მიიღონ ყველა საჭირო ზომა სოფმომარაგების საწყობებიდან მინერალური სასუქების გასატანად;

თ) უზრუნველყონ 1 ოქტომბრამდე ნიადაგის მომზადება შემოდგომაზე ახალი ვენახების, ფილოქსერაგამძლე ვაზის სადედეების, სანერგეებისა და ბაღების გასაშენებლად, ხოლო 1950 წლის გაზაფხულზე გასაშენებლად ნიადაგის მომზადება დაამთავრონ 1950 წლის 1 იანვრამდე, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ფილოქსერაგამძლე ვაზის ლერწის ხარისხობრივად და დროულად აჭრას, დახარისხებასა და შენახვას;

ი) დროულად და მაღალხარისხოვნად ჩაატარონ ბაღებში, ვენახებში, სადედეებსა და სანერგეებში შემოდგომა-ზამთრის ყველა სამუშაო — ნიადაგის დამუშავება, სასუქის შეტანა, სარის დამზადება, შპალერზე გადაყვანა და სხვ.;

შეიმუშაონ და გაატარონ ღონისძიებანი ხეხილის ბაღებში დაავადების კერების ლიკვიდაციისათვის და შემოდგომა-ზამთრის პერიოდში მოაწყონ ბრძოლა სოფლის მეურნეობის მავნებლებთან მექანიკური და ქიმიური საშუალებებით;

კ) გაატარონ საწარმოო დავალებით გათვალისწინებული ყველა ღონისძიებანი ევკალიპტის, ტუნგოს, ზეთისხილის, ხურმის, კეთილშობილი დაფნისა და სხვა სუბტროპიკული კულტურების დარგში;

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ევკალიპტის სათბურებისა და ორანჟერიების მშენებლობის გეგმის შესრულებას და ევკალიპტის სტანდარტული ნერგების გამოყვანას 1950 წლის გაზაფხულზე დასარგავად და სუბტროპიკული კულტურების ახალი რაიონების ნერგებით უზრუნველსაყოფად.

13. დაევალოს საქართველოს კ. პ. (ბ) საოლქო და რაიონულ კომიტეტებსა და საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს უზრუნველყონ წყალსამეურნეო კაპიტალურ სამუშაოთა გეგმის აუცილებელი შესრულება, საექსპლოატაციო ღონისძიებების გატარება 1950 წლის რწყვის სეზონისათვის სარწყავი ქსელის რემონტისა და გაწმენდის უზრუნველსაყოფად და სამელიორაციო სამუშაოთა გეგმის შესრულება ჩაის დარგვი.

14. დაევალოს საქართველოს კ. პ. (ბ) საოლქო და რაიონულ კომიტეტებს, საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს და სოფლის მეურნეობის სამინისტროს უზრუნველყონ მიმდინარე წლის შემოდგომაზე და 1950 წლის გაზაფხულზე ტყეებისა და ტყის სანერგეების გაშენებისა და ნიადაგის მომზადების გეგმის შესრულება და ტყის ჯიშების თესლის დამზადება;

ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ტყის გაშენებას მცირეტყიან და უტყეო რაიონებში (მცხეთის, თეთრი წყაროს, წალკის, ბოგდანოვკის, ახალქალაქის, ასპინძის, ახალციხის რაიონებში და პირველ რიგში ქ. თბილისის მიდამოებში);

გააძლიერონ სატყეო მეურნეობის სამინისტროს ადგილობრივი ორგანოებისადმი დახმარება დასავლეთ საქართველოს რაიონებში ევკალიპტის სახელმწიფო ქარსაფარი სატყეო ზოლების გაშენების გეგმის შესრულებაში.

15. საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს სასოფლო ელექტროსადგურების მშენებლობის სავსებით არადამაკმაყოფილებელ მიმდინარეობას და ავალებს საქართველოს კ. პ. (ბ) საოლქო და რაიონულ კომიტეტებს, სამშენებლო-სამონტაჟო ტრესტ „საქსოფელექტროს“ და რესპუბლიკურ საექსპლოატაციო კანტორა „საქსოფლენერგოს“ მიიღონ საჭირო ზომები სასოფლო ელექტროსადგურების მშენებლობის დავალებათა აუცილებლად შესრულებისათვის და დაწესებულ ვადებში მათი საექსპლოატაციოდ გადაცემისათვის.

16. დაევალოს საქართველოს კ. პ. (ბ) საოლქო და რაიონულ კომიტეტებს და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს:

ა) გაატარონ დამატებითი ღონისძიებანი მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესასრულებლად ჯოგის საკუთარი რეპროდუქციით და ამასთან ერთად, თვითეულ კოლმეურნეობას განუსაზღვრონ პირუტყვის შეძენის დავალებანი მათთვის დაწესებული სულადობის გეგმის შესრულების მიზნით; არ დაუშვან კოლმეურნეობების მიერ სუსტი და მცირეპროდუქტიული პირუტყვის შეძენა;

აუკრძალონ შინასამეურნეო საჭიროებისათვის პირუტყვის დაკვლა იმ კოლმეურნეობათა გამგეობებს, რომლებსაც არ შეუსრულებიათ მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმა;

ბ) მოაწყონ კოლმეურნეობებში მეცხოველეობის ახალი ფერმები იმ ანგარიშით, რომ მიმდინარე წლის დამლევამდე ყველა კოლმეურნეობას ჰქონდეს ფერმები დაწესებული რაოდენობით;

გ) მოაწყონ კოლმეურნეობებში სამშენებლო-სარემონტო ბრიგადები, მიამაგრონ მათ საჭირო გამწევი ძალა და ინვენტარი და გააჩაღონ მუშაობა პირუტყვის ახალი სადგომების მშენებლობის დასამთავრებლად და არსებული სადგომების რემონტის, დათბუნებისა და დეზინფექციის ჩასატარებლად, იმ ანგარიშით, რომ ყველა ეს სამუშაო დამთავრდეს 1949 წლის 1 ნოემბრამდე;

დ) გაატარონ დამატებითი ღონისძიებანი ყველა სათიბ ფართობზე თივის ასაღებად, მთელი ნამჯისა და სიმინდის ჩალის შესაგროვებლად და პირუტყვის საზამთრო ბინებთან მისაზიდად;

უზრუნველყონ, რომ ყველა კოლმეურნეობამ აუცილებლად შეასრულოს უხეში და წვნიანი საკვების დაგროვების დაწესებული გეგმა.

17. დაევალოს საქართველოს კ. პ. (ბ) საოლქო და რაიონულ კომიტეტებს და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს გააძლიერონ მუშაობა „კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების, შრომის ნაყოფიერების ამაღლებისა და შრომის ანაზღაურების მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 19 აპრილის დადგენილების განსახორციელებლად;

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საწარმოო ბრიგადებისა და რგოლების ყოველმხრივ განმტკიცებას, მათ სწორად დაკომპლექტებას და მიაღწიონ თვითეული კოლმეურნის მიერ შრომადღეების სავალდებულო მინიმუმის გადაჭარბებით შესრულებას;

მოაწყონ გამომუშავების მოქმედი ნორმებისა და შეფასებების შემოწმება და გადასინჯვა, ამასთან გაითვალისწინონ თვითეული კოლმეურნეობის თავისებურებანი და საფუძვლად მიიღონ მოწინავე კოლმეურნეთა მაჩვენებლები; მიიღონ ზომები ინდივიდუალური და წვრილი ჯგუფური სანარდო სისტემის შემდგომი ფართო დანერგვისათვის, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლისა და მეცხოველეობის პროდუქტების აღრიცხვის მოწესრიგებისათვის და განუხრელად გაატარონ ცხოვრებაში კანონი შრომის დამატებითი ანაზღაურების შესახებ.

18. დაევალოს საქართველოს კ. პ. (ბ) საოლქო და რაიონულ კომიტეტებს და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს უზრუნველყონ კოლმეურნეობების 1949 წლის წლიური ანგარიშების სწორად შედგენა და მოსავლისა და შემოსავლის დროული განაწილება კოლმეურნეთა შორის, გამომუშავებული შრომადღეების მიხედვით;

უახლოეს დღეებში მოახდინონ კოლმეურნეობებში დებიტორული დავალიანების ლიკვიდაცია და გაუსწორონ კოლმეურნეებს 1948 წლის ანგარიშიდ;

შეიმუშაონ ღონისძიებანი 1950 წლისათვის კოლმეურნეობების საწარმოო გეგმებისა და შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვების შესადგენად;

უზრუნველყონ კოლმეურნეთა აქტიური ჩაბმა საწარმოო გეგმების შედგენისა და ბრიგადებისა და რგოლებისათვის საწარმოო დავალებათა მიცემის საქმეში;

უზრუნველყონ ყველა კოლმეურნის სწორი აღრიცხვა, ბრიგადებში ჩარიცხვა და საკოლმეურნეო წარმოებაში აქტიური ჩაბმა.

19. საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ავალებს პარტიულ ორგანიზაციებს, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს, კოლმეურნეობათა გამგეობებს უზრუნველყონ 1950 წლის საგაზაფხულო თესვისათვის ყველა მოსამზადებელი სამუშაოს ორგანიზებულად ჩატარება, კერძოდ, საგაზაფხულო კულტურების თესლის გამოყოფა, თესვისათვის მომზადება და სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და ინვენტარის რემონტი;

უზრუნველყონ სასოფლო-სამეურნეო მანქანების, ინვენტარისა და მასალების დროული განაწილება და კოლმეურნეობათა მიერ საქსოფლმომარაგების საწყობებიდან მათი შეუფერხებელი გატანა.

20. პლენუმი ავალებს ცენტრალური კომიტეტის ბიუროს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საოლქო და რაიონულ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს შეიმუშაონ და გაატარონ ღონისძიებანი „საქართველოს სს რესპუბლიკაში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საზოგადოებრივი პროდუქტიული მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 13 სექტემბრის დადგენილების განსახორციელებლად, უზრუნველყონ ამ დადგენილებაში აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოფხვრა და მეცხოველეობის განვითარების წლიური გეგმის აუცილებელი შესრულება ყველა მაჩვენებლის მიხედვით.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მოწინავეების ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ*

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 25 მაისის ბრძანებულების შესაბამისად, **ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლისა და ციტრუსოვანთა ნაყოფის უხვი** მოსავლის მიღებისათვის, როცა კოლმეურნეობებმა შეასრულეს ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სავალდებულო ჩაბარებისა და კონტრაქტაციის, 1948 წლის მტვრების მუშაობის ნატურანაზღაურების გეგმები, **დაჯილდოებულ იქნან:**

მედლით „შრომითი მამაცობისათვის“

225. **კონცელიძე** ზექეე ახმედის ასული — ქობულეთის რაიონის ციხისძირის სასოფლო საბჭოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

226. **კონცელიძე** რამაზ შარიფის-ძე —ქობულეთის რაიონის ხალის სასოფლო საბჭოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი.

227. **კონცელიძე** ფადიმე ალის ასული — ქობულეთის რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

228. **კოტრიკაძე** შურა ელიზბარის ასული — ჩოხატაურის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

229. **ქსანდო** ფიკა ანასტასის ასული —ბათუმის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

230. **ქსანდოპულო** მაგდალინა გიორგის ასული — ქობულეთის რაიონის დაგვის სასოფლო საბჭოს ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

231. **ქსანდოპულო** მაგდალინა კონსტანტინეს ასული — ქობულეთის რაიონის დაგვის სასოფლო საბჭოს ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.

232. **ყუბუსიძე** სულიკო სარდიონის ასული — მახარაძის რაიონის შრომის სასოფლო საბჭოს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.

233. **ყუბუსიძე** თეოლინა ნიკიფორეს ასული—მახარაძის რაიონის შრომის სასოფლო საბჭოს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

234. **ყუბუსიძე** ჭუჭულა დავითის ასული — მახარაძის რაიონის შრომის სასოფლო საბჭოს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.

244. **კუტუბიძე** ნადია ფილიპეს ასული — ჩოხატაურის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

245. **კურცია** კოკონა ევსევის ასული —მახარაძის რაიონის შრომის სასოფლო საბჭოს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.

246. **ყურშუბაძე** ახმედ მემედის-ძე —ქობულეთის რაიონის ხალის სასოფლო საბჭოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი.

247. **ყურშუბაძე** სადეთ მემედის ასული — ქობულეთის რაიონის ხალის სასოფლო საბჭოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.

248. **ყურშუბაძე** ფატი ოსმანის ასული — ქობულეთის რაიონის ხალის სასოფლო საბჭოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

249. **ყურშუბაძე** ხასან ისლამის-ძე —ქობულეთის რაიონის ხალის სასოფლო საბჭოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

250. **კუხალეიშვილი** ლენა დიონისეს ასული — ზუგდიდის რაიონის ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

251. **ლაზიშვილი** რახიმე მამუდის ასული — ქობულეთის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

252. **ლამპარაძე** რახიმე რამიზის ასული—ქობულეთის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

253. **ლაცუზბაია** შურა მიხეილის ასული — გალის რაიონის ოქუმის სასოფლო საბჭოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

254. **ლომაძე** დიომიდე ხარლამპეს-ძე — მახარაძის რაიონის ნატანების სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.

255. **ლომაძე** მატრონა ივანეს ასული — მახარაძის რაიონის შრომის სასოფლო საბჭოს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

256. **ლომაძე** ნინო გიორგის ასული —მახარაძის რაიონის შემოქმედის სასოფლო საბჭოს მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.

257. **ლომინაძე** დარო ტროფიმეს ასული — მახარაძის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.

258. **ლომთაძე** ალექსანდრე ბაგრატის-ძე — ქობულეთის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი.

259. **ლომთაძე** პარმენ დომენტის-ძე — ქობულეთის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.

260. **მავროპულო** ეფიმია კუზმას ასული — ქობულეთის რაიონის წითელი არმიის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

261. **მავროპულო** პარფენოპი ანდროკლის ასული — ქობულეთის რაიონის დაგვის სასოფლო საბჭოს ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

262. **მაღლაფერიძე** შუშანა თეოფილეს ასული — ქუთაისის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

263. **მადოიშვილი** სურიე ზაბიტის ასული—ქობულეთის რაიონის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

264. **მაქაცარია** ბაბილინა ერასტის ასული — ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

265. **მალაზონია** გულიკო კონსტანტინეს ასული — მახარაძის რაიონის ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

266. **მამეშვილი** ნადია იოსების ასული — მახარაძის რაიონის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.

267. **მანაკაძე** ეკატერინე არსენის ასული — მახარაძის რაიონის ნატანების სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

(გაგრძელება იქნება)

*) გაგრძელება. იხ. „კომუნისტი“ № 177, 178, 179, 180, 181, 182, 183, 184, 185, 186, 187, 188, 189.

წყალთა მეურნეობის ძირითად სამუშაოთა შესრულება

(საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს 20 სექტემბრის ცნობებით)

რაიონების დასახელება	1949 წლის მეორე ნახევრის გეგმის შესრულება პროცენტებით					
	მიწის სამუშაოები		ბეტონის და ქვის სამუშაოები		ინერტულ მასალათა დამზადება	
	ნახევარი წლისა	სექტემბრისა	ნახევარი წლისა	სექტემბრისა	ნახევარი წლისა	სექტემბრისა
სამხრეთ ოსეთის ა. ო.	32,0	68,5	8,2	25,3	39,3	139,5
სოღანაღი	61,5	44,5	55.3	46.5	7,7	9.0
გურჯაანი	91,1	15,1	11,1	11,5	13,7	15,0
თელავი	48,6	0	0	0	0	0
წითელწყარო	58.0	64,1	95,0	0	—	—
გორი	30,6	67,1	27,9	12,7	42,2	28.2
ქარელი	91,1	147,8	14,7	9,8	89,8	169,3
ქუთაისი	100.0	—	100,0	—	100,0	—
ზესტაფონი	100,0	—	52,0	—	100,0	—
მაიაკოვსკი	100,0	—	100,0	—	100,0	—
კასპი	9,6	20,5	0	0	3,5	0
დუშეთი	—	—	51,0	98,8	—	—
გაგრა	69,1	—	—	—	—	—
ახალციხე	110,9	—	—	—	0	—
ადიგენი	13,5	14,3	—	—	5,4	5,4
ბოლნისი	20,0	25,0	0	0	—	—
ყვარელი	110,8	114,0	73,9	68,1	182,3	182,9
საგარეჯო	70.7	—	61,2	0	71 4	33,3
თეთრი წყარო	71,7	20,8	0	0	17,2	0
ჩხარი	13,5	34,0	0	0	0	0

რთველისათვის მზადება ბერეთის რაიონში

შამპანურ ღვინოთა ტრადიციული ქარხნის ქარხანამ (დირექტორი ვ. კიკნაძე) რთველისათვის მზადებასთან დაკავშირებით გააკეთა ჭაჭის შესანახი 22 ახალი ავზი, ორი საორთქლე ქვაბი; რემონტი გაუკეთა მარნებს და ყურძნის საჭყლეტ იარაღ-მანქანებს, ყურძნის გადამოზიდვაში კოლმეურნეთა დასახმარებლად გამოყოფილია ავტომანქანები.

მიუხედავად ამისა, რთველისათვის მზადების საქმეში ყველაფერი რიგზე მაინც არ არის. ქარხანას აკლია 70.000 დეკალიტრი ღვინის ტევადობის ტარა-მასალა. ქარხნის ხელმძღვანელობა, მართალია შეუდგა ჭურების შესყიდვას, მაგრამ დღემდე შესაძენად გათვალისწინებული ჭურების ნახევარიც არა აქვთ შესყიდული.

ტარა-მასალები აკლია შამპანკომბინატის ვაჭვის მევინახეობა-მეღვინეობის საბჭოთა მეურნეობასაც (დირექტორი ვ. თურმანიძე), მაგრამ გადამჭრელ ზომებს არ იღებენ. რთველი კარზეა მომდგარი. საჭიროა ამ ნაკლოვანებათა სასწრაფოდ გამოსწორება.

ს. მუმლაძე

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

ნაკვალია სეთურიძის წარმატება

ქაზბეგი. (საკ. კორ.). შესანიშნავ წარმატებას მიაღწია სოფელ სიონის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა ნატალია სეთურიძემ, რომელიც ამავე კოლმეურნეობის მეძროხეობის საჯიშე ფერმის მწველავად მუშაობს. ის უელის ადგილობრივი ჯიშის 10 ძროხას. სტახანოველმა მწველავმა კარგი მოვლა-პატრონობით თვითეულ ძროხაზე უკვე მიიღო 1.100 ლიტრი რძე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 775 ლიტრისა. ნ. სეთურიძემ იკისრა თვითეული ძროხისაგან წლის ბოლომდე საშუალოდ 1.400 ლიტრი რძე მოწველოს.

მოწინავე მწველავს მუშაობის კარგი გამოცდილება აქვს. საუკეთესოდ კვებავს და უვლის საქონელს. ძროხები სიარულით რომ არ მოიქანცონ, მან წველა უშუალოდ საძოვარზე მოაწყო. წველის დაწყების წინ თბილი წყლით ბანს ცურს, უკეთებს მასაჟს, აწყობს ძროხების დამატებით კვებას და ატარებს ზოოვეტერინარულ ღონისძიებებს. ნ. სეთურიძის გამოცდილება ფართოდ ინერგება რაიონის საკოლმეურნეო ფერმებში.

საშემოდგომო თესვა

სექტემბრის მეოთხე ხუთდღიურში საშემოდგომო თავთავიანი მარცვლეული კულტურები დათესილია 15.146 ჰექტარი, სულ 20 სექტემბრისათვის— 32.664 ჰექტარი. რესპუბლიკური გეგმა შესრულებულია 13,9 პროცენტით.

აჭარის ასს რესპუბლიკაში საშემოდგომო თავთავიანი მარცვლეული კულტურების თესვის გეგმა 4,8 პროცენტით არის შესრულებული, ჭიათურის რაიონში — 31,6 პროცენტით, საჩხერის — 57,9, ორჯონიკიძის — 60,6, ონის — 33,9, ამბროლაურის — 12,1, ცაგერის—52,2, ქვემო სვანეთის —17,5, ქლუხორის—7,6, ახალქალაქის — 148,8, ადიგენის—0,3, ასპინძის — 29,6, ქარელის — 6,7, გორის — 9,3, კასპის — 7,5, დუშეთის — 8,2, თეთრი წყაროს — 10,4, თიანეთის—37,5, გურჯაანის — 6,0, კაჭრეთის — 3,7, სიღნაღის—7,0, წითელწყაროს—21,2, თელავის — 14,3, ახმეტის — 23,1, ლაგოდეხის — 6,8, თბილისის—15,5, მცხეთის — 3,3, გარდაბნის—1,2, მარნეულის—2.0, საგარეჯოს—9,4, დმანისის რაიონში—22,8 პროცენტით.

„კომუნისტის“ სიგნაღის შემდეგ

„კომკავშირის ხუღოს რაიკომმა უნდა გაარკვიოს მუშაობა“

ამ სათაურით გაზეთ „კომუნისტში“ დაიბეჭდა წერილი.

როგორც საქართველოს კ. პ. (ბ) ხულოს რაიკომის მდივანი ამხ. ვ. ტრაპაიძე გვაცყობინებს, წერილში მოყვანილი ფაქტები მთლიანად დადასტურდა. პარტიის რაიკომის ბიურომ დასახა ღონისძიებანი კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის გასაუმჯობესებლად. კომკავშირის რაიკომის მდივანი მ. ბოლქვაძე, რომელმაც ვერ უზრუნველყო რაიონის კომკავშირული ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობა და ამასთან დაუშვა კომუნისტისათვის შეუფერებელი საქციელი, კომკავშირის რაიკომის პლენუმმა მოხსნა სამუშაოდან.

„დამსვენებელთა მომსახურება ცუდია“

ამ სათაურით „კომუნისტის“ 16 აგვისტოს ნომერში დაიბეჭდა კორესპონდენცია, რომელშიც გაკრიტიკებული იყო პროფსაბჭოს წაღვერის (კეჩხობი) სანატორიუმის მუშაობა. კორესპონდენციაში აღნიშნული იყო აგრეთვე კურორტვაჭრობის ნაკლოვანებანი დამსვენებელთა მომსახურების საქმეში.

საკავშირო პროფსაბჭონ კურორტების, სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების სამმართველოს უფროსი ამხ. კობახიძე გვაცნობებს, რომ წერილში სწორად იყო გაკრიტიკებული ნაკლოვანებანი. მიღებული ზომების შედეგად აღნიშნული დეფექტები დროულად იქნა გამოსწორებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივანე პეტრეს-ძე პავლოვი

ხვალ სრულდება ასი წელი რუსული ფიზიოლოგიური სკოლის შემქმნელის, მსოფლიოს უდიდესი ფიზიოლოგის ივანე პეტრეს-ძე პავლოვის დაბადებიდან.

ლენინი და სტალინი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ პავლოვის მეცნიერულ მოღვაწეობას. ცხობილია ვ. ი. ლენინის მიერ გამოცემული 1921 წლის დეკრეტი პავლოვისათვის მეცნიერული მუშაობის პირობების შესაქმნელად. დიდი სამამულო ომის მძიმე დღეებში ი. ბ. სტალინმა პავლოვი რუსი ხალხის უაღრესად გამოჩენილ მოღვაწეთა შორის დაასახელა. ჩვენი ხალხი სამართლიანად ამაყობს პავლოვის, მეცნიერული აზრის ამ ბუმბერაზის, სამშობლოს საუკეთესო შვილისა და მგზნებარე პატრიოტის სახელით.



ი. პავლოვის შემოქმედებითმა გენიამ იმდენი რამ მისცა ფიზიოლოგიას, რამდენიც არც ერთ მეცნიერს არ მიუცია. სისხლის მიმოქცევის, საჭმლის მონელების, გამომყოფი ორგანოების, ნერვული სისტემის ფიზიოლოგიის, ფუნქციათა ნერვულ-ჰუმორული რეგულაციის, შრომის ფიზიოლოგიის, შედარებითი ფიზიოლოგიის, ფარმაკოლოგიის და მრავალი სხვა საკითხის მეცნიერული გადაჭრა მჭიდროდ არის დაკავშირებული ი. პავლოვის სახელთან. მაგრამ ყველაზე დიდი მეცნიერული მიღწევები ამ დიდ ბუნებისმეტყველს აქვს ფიზიოლოგიის სამდიდ დარგში: სისხლის მიმოქცევის, საჭმლის მონელებისა და უმაღლესი ნერვული მოქმედების დარგებში.

15 წლის განმავლობაში იკვლევდა ი. პავლოვი სისხლის მიმოქცევის ფიზიოლოგიას. მან აღმოაჩინა, რომ სისხლის ძარღვების კედლებში მოთავსებული არიან სპეციალური მგრძნობიარე აპარატები — რეცეპტორები. ისინი ღიზიანდებიან წნევის დაცემის დროს და ამის გამო რეფლექსურად ხდება სისხლის წნევის აწევა ნორმამდე.

შემდეგში ი. პავლოვის მოწაფეთა და მიმდევართა შრომებით დადასტურდა, რომ სისხლის ძარღვების კედლები, წნევისადმი მგრძნობიარე რეცეპტორებს გარდა, შეიცავენ ქიმიური ნივთიერებებისადმი და ტემპერატურისადმი მგრძნობიარე აპარატებსაც, რომელთა მონაწილეობით რეგულირდება სისხლის ძარღვებისა და გულის მოქმედება და ამით შესაფერისად ხორციელდება ქსოვილების სისხლით მომარაგება.

ი. პავლოვამდე მეცნიერებას მეტად ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა საჭმლის მომნელებელი ჯირკვლების მოქმედებაზე. მთავარი მიზეზი ამისა იყო მაშინ არსებული კვლევის წესების დიდი ნაკლი. ი. პავლოვმა ჯერ ეს რთული მეთოდური ამოცანა გადაჭრა. მან გამოგონა გონებამახვილი ოპერაციები, რომელთა დროსაც კეთდება ფისტულები — თავისებური სარკმელები, რომელთა საშუალებით ოპერაციის შემდეგ ცხოველების გამოჯანმრთელებისას შეიძლება დავაკვირდეთ საჭმლის მომნელებელი ორგანოების მოქმედებას სრულიად ნორმალურ პირობებში. აქაც ისე, როგორც ყველგან აშკარად ჩანს პავლოვის ნოვატორული აზრი.

ასეთი ახალი მეთოდის გამოყენებით პავლოვმა დაამტკიცა, რომ საჭმლის მომნელებელი ყველა მთავარი ჯირკვლები აღჭურვილი არიან სეკრეციული ნერვებით, რომელნიც განაგებენ ამ ჯირკვლებში სეკრეციულ პროცესებს, რომ ნერვული სისტემის მეოხებით ამ ჯირკვალთა სეკრეციის — წვენის შემადგენლობა, ქიმიური და ფიზიკური და ფერმენტული თვისებები შეგუებული არიან მიღებული საკვების რაოდენობასთან და ხასიათთან.

1900-1901 წლიდან დაწყებული ი. პავლოვის ყურადღება მიიპყრო უმაღლეს ცხოველთა დიდი ტვინის ქერქის ფუნქციებმა, თუმცა მას არ დაუკარგავს ინტერესი საჭმლის მონელების ფიზიოლოგიისადმი.

იმ დროისათვის დიდი ტვინის ქერქის ფუნქციების შესახებ არავითარი ქვშმარიტი მეცნიერული წარმოდგენა არ არსებობდა. არ გვქონდა ობიექტური მეთოდი ამ ფუნქციების შესასწავლად. პავლოვი სწორედ ასეთი მეთოდის ძიებას შეუდგა, მან შეიმუშავა ე. წ. პირობითი რეფლექსების მეთოდი, რომლის გამოყენებით შექმნა შესანიშნავი მოძღვრება უმაღლესი ნერვული მოქმედების შესახებ.

ფიზიოლოგიის ამ ახალი დარგის საფუძველი გახდა ი. პავლოვის დაკვირვება საჭმლის მომნელებელი ჯირკვლების, კერძოდ სანერწყვე ჯირკვლის მოქმედებაზე. საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი ნერწყვის გამოყოფისა სასიამოვნო საჭმლის სუნზე ან მის დანახვისას, ე. ი. ყნოსვისა და მხედველობის რეცეპტორის გაღიზიანებისას, მანამდე სრულიად გაუგებარი იყო. ი. პავლოვმა პირველმა აღმოაჩინა და დაამტკიცა, რომ სანერწყვე ჯირკვლების ეს სეკრეცია არაადეკვატური გაღიზიანების გამო არის რეფლექსური ბუნებისა; ეს რეაქცია ხორციელდება დიდი ტვინის ქერქის მონაწილეობით, ამიტომ იგი ქერქული რეფლექსია.

ასეთი რეფლექსი ცხოველის დაბადებისას არ არსებობს. იგი ვითარდება ინდივიდუალურ ცხოვრებაში, გარკვეული პირობების გამო, სახელდობრ, იმის გამო, რომ საჭმლის ჭამას ყოველთვის წინ უსწრებს საჭმლის დანახვა და დაყნოსვა, ე. ი. ყნოსვისა და მხედველობის რეცეპტორის გაღიზიანება უღლდება საგემოვნო რეცეპტორის გაღიზიანებასთან. ამიტომ ტვინში ერთდროულად ჩნდება აღგზნების კერები როგორც ყნოსვისა და სმენის, ისე ნერწყვის სეკრეციის ცენტრებში. ცენტრალური ნერვული სისტემის თვისებური ფიზიოლოგიური თვისებების გამო დასახელებულ ცენტრებს შორის, ე. ი. ყნოსვისა და ნერწყვის სეკრეციის, მხედველობისა და ნერწყვის სეკრეციის ცენტრებს შორის მყარდება აქამდე არარსებული ნერვიული კავშირი. ახლა გასაგებია, რომ ყნოსვის ან მხედველობის რეცეპტორის გაღიზიანებით გამოწვეული აღგზნება ქერქში ახლად გაკაფული ნერვული გზით მიმართება ნერწყვის სეკრეციის ცენტრში და ეს იწვევს ნერწყვის გამოყოფას. ასეთი რეფლექსური რეაქციის გამომუშავება საჭიროებს გარკვეულ პირობებს. ამიტომაც პავლოვმა მათ პირობითი რეფლექსები უწოდა, და რადგანაც ისინიც ცხოვრების პირობებში მუშავდებიან, ამიტომ მათ ნატურალური პირობითი რეფლექსები ჰქვიათ.

ეს აღმოჩენა—პირობითი რეფლექსის პრინციპი—საფუძვლად დაედო ცენტრალური ნერვული სისტემის მოქმედებას და მიიღო უნივერსალური ხასიათი.

მეტად ძნელია საგაზეთო სტატიაში აღიწეროს ყველა ის დიდი აღმოჩენა, რომელიც ეკუთვნის ი. პავლოვს ცენტრალური ნერვული სისტემის ფუნქციის შესწავლაში, და ის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა, რაც ამ აღმოჩენებს აქვთ. მაგრამ საჭიროა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა სირთულის, ხასიათისა და ტიპის პირობითი რეფლექსები ი. პავლოვის მიხედვით წარმოადგენენ უმაღლესი ნერვული მოქმედების ძირითად შინაარსს; ისინი წარმოადგენენ ცხოველის ორგანიზმის ქცევის, ფსიქიური მოქმედების საფუძველს. ი. პავლოვმა გამოარკვია აგრეთვე ძილისა და ჰიპნოზის ფიზიოლოგიური საფუძვლები, ტვინის ქერქში ფუნქციათა ლოკალიზაციის მთელი რიგი საკითხები, ტაპოლოგიური თავისებურებანი სხვადასხვა ინდივიდუუმებისა, ფიზიოლოგიური თვალსაზრისით ახსნა მრავალი ნერვული და ფსიქიური დაავადების არსი, მიგვითითა ნერვული სისტემის გადაღლისა და გამოფიტვის წინააღმდეგ ბრძოლის გზებზე, დაამუშავა ცენტრალურ ნერვულ სისტემაში განვითარებული პათოლოგიური მოვლენების თერაპიის საფუძვლები და სხვ.

ი. პავლოვის მოძღვრება პირობითი რეფლექსების შესახებ მეთოდოლოგიურად ხასიათდება სრულიად მკაფიო მატერიალისტური პოზიციით. ი. პავლოვის ძირითად აზრს წარმოადგენს ის, რომ „ორგანიზმის ფუნქციები და, მაშასადამე, მისი ყველა მორფოლოგიური სტრუქტურები ფორმდებიან გარემოს შემოქმედებითი ზემოქმედებით, ამასთან იგულისხმება არა საერთოდ გარემო, არამედ გარემომცველი არე, თვით ორგანიზმის მიერ გადამუშავებული“.

ი. პავლოვი ამტკიცებდა, რომ ცხოველთა ისტორიული განვითარების პროცესში გარკვეულ გარემოებათა გამო შეძენილი დროებითი, პირობითი კავშირები იქცევიან მემკვიდრეობით კავშირებად. ამის მიხედვით საბჭოთა ბიოლოგიის წინაშე ისახება ამოცანა: მტკიცედ დაეყრდნოთ მიჩურინის მოძღვრებას მემკვიდრეობის შესახებ და ი. პავლოვის მოძღვრებას ცხოველთა უმაღლესი ნერვული მოქმედების შესახებ, შევისწავლოთ შემოქმედებითი როლი გარეგანი პირობებისა, რომელთა გავლენითაც ხდება ცხოველის ორგანიზმის ყველა სტრუქტურებისა და ფუნქციების სრულყოფილი ფორმირება, რათა სრულად განვავითაროთ ცხოველთა ის საუკეთესო თვისებები, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის გამომუშავებული და რომლებსაც დიდი სამეურნეო მნიშვნელობა აქვთ.

ი. პავლოვი იყო არა მარტო გენიალური მეცნიერი — ბუნებისმეტყველი, არამედ უნიჭიერესი მასწავლებელიც. მისი ლექციების დროს, რომელთაც თან ახლდა ბრწყინვალე ექსპერიმენტები, ვეებერთელა აუდიტორია ვეღარ იტევდა აოფრთოვანებულ სტუდენტობას და ექიმებს. მაგრამ ის იყო უნიჭიერესი მასწავლებელი არა მარტო ამ მნიშვნელობით, არამედ იგი ასწავლიდა ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკებს მეცნიერული კვლევის მეთოდებს, მუშაობის ხერხებს და თავისი პირადი მაგალითით უჩვენებდა, თუ საზოგადოდ როგორი უნდა იყოს მეცნიერი. იგი იყო ძლიერ უბრალო, ადამიანთა მოსიყვარულე, შესანიშნავი მოსაუბრე, გულკეთილი, სამართლიანი, პირდაპირი, პრინციპული, ფრიად ზუსტი ყოველგვარ საქმეში, არაჩვეულებრივი შრომის უნარის მქონე და შეუდარებელი დამკვირვებელი, აღჭურვილი ფენომენალური მეხსიერებით. მან იცოდა თავდავიწყებით გატაცება საქმით. ყველა ამ შესანიშნავი თვისების გამო მას დამსახურებული ჰქონდა თავისი მეგობრებისა და მოწაფეების სიყვარული.

სახელგანთქმულ მეცნიერთან მიილტვოდა ახალგაზრდობა ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხიდან, საზღვარგარეთიდან. ი. პავლოვის ლაბორატორიაში უმუშავნია მრავალ ექიმს და ბიოლოგს და აქტიური მონაწილეობა მიუღია ი. პავლოვის ხელმძღვანელობით წარმოებულ მეცნიერულ მუშაობაში, მის ლაბორატორიაში მრავალი სადისერტაციო შრომა შესრულებულა. ამ სტრიქონების ავტორსაც, რომელსაც ასევე სწყურდა ი. პავლოვის ნახვა, წილად ხვდა ბედნიერება ნახევარ წელზე მეტ ხანს (1934 წ.) ემუშავნა ი. პავლოვის ლაბორატორიაში. რა გაოცებული დავრჩი, როდესაც ამ ბუმბერაზ მეცნიერთან მისვლისას ვნახე არაჩვეულებრივად თავმდაბალი და თავაზიანი მოხუცი, რომელიც ახალგაზრდული სიმკვირცხლით წამოხტა ფეხზე და მომესალმა. როდესაც ჩემი მისვლის მიზანი ვამცნე, მან ასე მომმართა: „ო-ა, ივანე ბერიტაშვილის ბუდიდან ამოფრენილი ახლად შებუმბლული ბარტყი ხართ? მოხარული ვარ, რომ მზიური საქართველოს წარმომადგენელი ჩამოსულხართ“.

ი. პავლოვი უდიდეს მეცნიერულ მუშაობას ათავსებდა ფართო საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან. იგი იყო რუს ექიმთა საზოგადოების თავმჯდომარე, საექიმო სპორტული საზოგადოების ორგანიზატორი და ხელმძღვანელი, ფიზიოლოგთა საზოგადოების მუშაობის და სამეცნიერო ყრილობების ორგანიზატორი, პრეზიდენტი ფიზიოლოგთა მე-15 საერთაშორისო კონგრესისა 1935 წ. ქალაქ ლენინგრადში და მრავალი სხვ.

ი. პავლოვი იყო პროგრესული მოღვაწე. იგი ყოველთვის თანაუგრძნობდა და ხელს უწყობდა სტუდენტთა რევოლუციურ მოძრაობას ცარიზმის წინააღმდეგ. რუსეთ-იაპონიის ომის სამარცხვინოდ დამთავრების შემდეგ რეაქციის პერიოდში, ი. პავლოვი განრისხებული ამბობდა: „არა, მხოლოდ რევოლუციას შეუძლია იხსნას რუსეთი. მთავრობა, რომელმაც რუსეთი მიიყვანა ასეთ სირცხვილამდე, დამხობილ უნდა იქნას“.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ი. პავლოვი უდიდესი კმაყოფილებით და ენერგიით განაგრძობდა მეცნიერულ მუშაობას. იგი დიდად აფასებდა იმ გრანდიოზული მოვლენების ღრმა ისტორიულ მნიშვნელობას, რომლებიც გაშალა ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ. პავლოვი აღტაცებული იყო ჩვენი მთავრობის მზრუნველობით მეცნიერებისა და კულტურის განვითარებისათვის და ხშირად ამბობდა: „რასაც უნდა ვაკეთებდე, ყოველთვის ვფიქრობ, რომ ამით, რამდენადაც ძალა შემწევს, ვემსახურები უპირველეს ყოვლისა ჩემს სამშობლოს. მინდა კიდევ დიდხანს ვიცოცხლო, ვიცოცხლო მანამდე, ვიდრე არ ვნახავ ჩემს სამშობლოში მომხდარი უდიდესი სოციალური გარდაქმნის საბოლოო შედეგებს“.

მეცნიერების ინტერესებს ი. პავლოვი აყენებდა ყველაფერზე წინ. იგი ცოცხლობდა მეცნიერებით. მეცნიერება მას ანიჭებდა უმაღლეს სიტკბოებას, ნეტარებას, იგი იყო, როგორც თვითონ იტყოდა, „თავით ფეხამდე მეცნიერების ადამიანი“. „განსოვდეთ, — წერდა ის ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობას, — რომ მეცნიერება მოითხოვს ადამიანისაგან მთელ მის სიცოცხლეს. თქვენ რომ ორი სიცოცხლე გქონდეთ, ისიც არ გეყოფოდათ“. და მართლაც, მან ხომ მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე მეცნიერებას მიუძღვნა!

1935 წელს, 86 წლის ასაკში შეწყდა ამ შესანიშნავი ბუნებისმეტყველის მაჯის ცემა შემთხვევითი ავადმყოფობის — ფილტვების ანთების გამო. ღრმა მოხუცებულობის მიუხედავად, სიცოცხლეს მოწყურებული პავლოვი ბოლომდე გამოირჩეოდა თავისი ფიზიკური და სულიერი სიმტკიცით, დაუცხრომელი ენერგიით.

სახელოვანმა მეცნიერმა გენიალურად და მარტივად ამოხსნა ბუნების მრავალი საიდუმლოება. მანვე დაგვტოვა მრავალი ნაყოფიერი იდეა, დაადგინა თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისით ფრიად მნიშვნელოვანი მრავალი საკითხი და მოხაზა ის გზებიც, რომლითაც გარკვეულ უნდა იქნან ისინი.

ჩვენს წინაშე დგას მეტად საპასუხისმგებლო და საპატიო ამოცანა—განვავითაროთ ი. პავლოვის, ამ გენიალური მოაზროვნის მეცნიერული მემკვიდრეობა.

პროფესორი ა. ბაკურაძე
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეოთხე სესია

გენერალურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 22 სექტემბერი. (საკადესი). 21 სექტემბერს შედგა პირველი სხდომა გენერალური კომიტეტისა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან გენერალური ასამბლეის თავმჯდომარე, შვიდი ვიცე-თავმჯდომარე და ექვსივე კომიტეტის თავმჯდომარეები. კომიტეტში საბჭოთა კავშირს წარმოადგენდა საბჭოთა დელეგაციის მეთაური ა. ი. ვიშინსკი.

კომიტეტს უნდა განეხილა გენერალური ასამბლეის მეოთხე სესიის დღის წესრიგი გენერალური ასამბლეისათვის მისი რეკომენდაციის მიზნით, გაენაწილებინა დღის წესრიგის საკითხები კომიტეტებს შორის და განეხილა ასამბლეის მუშაობის ორგანიზაციის მთელი რიგი საკითხები.

საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ამბ. ა. ი. ვიშინსკიმ წინადადება შეიტანა დღის წესრიგიდან გამოერიცხათ შემდეგი საკითხი: „მუქარა საბერძნეთის პოლიტიკური დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის“. ამასთან მან აღნიშნა, რომ ამ წინადადების ავტორები ცდილობენ საქმე ისე წარმოადგინონ, რომ საბერძნეთის დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას ემუქრებიან ალბანეთი და ბულგარეთი. ა. ი. ვიშინსკიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს საკითხი უკვე რამდენიმე წელიწადია შეაქვთ სესიის დღის წესრიგში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საბერძნეთისათვის არავითარი ასეთი საფრთხე არ არსებობს. თუ მაინც უნდა განიხილოთ საბერძნეთის საკითხი, ეს უნდა გავაკეთოთ იმ ფაქტების საფუძველზე, რომლებიც საკითხის სხვაგვარ დაყენებას მოითხოვენ. ლაპარაკი უნდა იქნეს არა საბერძნეთისათვის მითითებულ საფრთხეზე მისი მეზობლების მხრივ, რომელთა წინააღმდეგაც მიმართულია ეს საკითხი, ვინაიდან ასეთი მუქარა არ არსებობს, არამედ ნამდვილ მუქარაზე, რომელიც წარმოადგენს იმ ქაოსის შედეგს, რაც საბერძნეთში შეიქმნა ომის დამთავრების მომენტიდან საბერძნეთის საშინაო საქმეებში ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის ჩარევის შედეგად.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ბოლო უნდა მოუღოს ტერორს საბერძნეთის მონარქისტულ-ფაშისტური მთავრობის მხრივ, რომელიც ამერიკელებისა და ინგლისელების შეიარაღებული ძალების დახმარებით და პირდაპირი მონაწილეობით ხვრეტს ბერძენ პატრიოტებს, რომლებიც საბერძნეთის დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის იბრძვიან.

ა. ი. ვიშინსკიმ ისიც აღნიშნა, რომ ეს საკითხი დასმულია ბალკანეთის კომისიის მოხსენების გამო, კომისიისა, რომელიც უკანონოდ შეიქმნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დარღვევით და საბჭოთა დელეგაციისა და მთელი რიგი სხვა დელეგაციების პროტესტის მიუხედავად. საბერძნეთის პოლიტიკური დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის საფრთხე მომდინარეობს არა საბერძნეთის მეზობელი ქვეყნებიდან, არამედ, უწინარეს ყოვლისა, შეერთებული შტატებიდან, რომლებმაც საბერძნეთს სუვერენიტეტი წაართვეს.

ა. ი. ვიშინსკიმ წინადადება შეიტანა გამოერიცხათ ეს საკითხი გენერალური ასამბლეის დღის წესრიგიდან.

ინგლისის წარმომადგენელმა მაკნეილმა, რომელსაც არავითარი საბუთი არ მოუყვანია, განაცხადა, რომ საბერძნეთის საკითხი უნდა დარჩეს სესიის დღის წესრიგში, ვინაიდან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბალკანეთის კომისიამ „გასწია მუშაობა და მისი მოხსენება გენერალურმა ასამბლეამ უნდა მოისმინოს“.

საბერძნეთის წარმომადგენელი კირუ (საბერძნეთი) ამტკიცებდა, რომ ამერიკელებმა, რომ საბერძნეთისათვის მართლაც არ არსებობს არავითარი საფრთხე. მაგრამ იგი დაეინებით მოითხოვდა, რომ ეს საკითხი დარჩეს სესიის დღის წესრიგში. მან განაცხადა, რომ საბერძნეთის საკითხი წარმოადგენს „საფრთხეს საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროებისათვის“.

ა. ი. ვიშინსკიმ მეორედ აღლო სიტყვა და კომიტეტის წევრთა ყურადღება მიაქცია იმას, რომ არათანმიმდევრული და წინააღმდეგობათა შემცველია პოზიცია საბერძნეთის წარმომადგენლისა, რომელმაც აღიარა, რომ საბერძნეთისათვის მართლაც არ არსებობს არავითარი საფრთხე, და ამავე დროს წინადადებას აყენებდა, რომ ეს საკითხი დარჩეს დღის წესრიგში, ვინაიდან „მთელი მსოფლიოსათვის“ საფრთხე არსებობსო. სსრ კავშირის დელეგაცია, თქვა ვიშინსკიმ, ამთავითვე წინააღმდეგი იყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგრეთ წოდებული ბალკანეთის კომისიის შექმნისა, რამდენადაც ასეთი კომისიის შექმნით დარღვეულია საბერძნეთის ჩრდილოეთი მეზობლების სუვერენული უფლებანი. მაშინ ამ კომისიის შექმნის გამართლებას ცდილობდნენ საბერძნეთის ტერიტორიული მთლიანობისათვის რაღაც მოგონილი მუქარით. ახლა საბერძნეთის წარმომადგენელმა აღიარა, რომ საბერძნეთისათვის არავითარი მუქარა არ არსებობს მისი ჩრდილოეთელი მეზობლების მხრივ.

განა ცხადი არ არის, თქვა ვიშინსკიმ, რომ ეს საკითხი ხელოვნურად არის შემოტანილი გენერალურ ასამბლეაში, რომ იგი მოკლებულია რამე რეალური საფუძველს?

პოლონეთის წარმომადგენელმა ლიაქსმა მხარი დაუჭირა საბჭოთა დელეგაციის მეთაურის წინადადებას და ამასთან აღნიშნა უცნაური „ლოგიკა“ საბერძნეთის წარმომადგენლისა, რომელიც ეთანხმება იმას, რომ საბერძნეთისათვის საფრთხე არ არსებობს, მაგრამ ამავე დროს მოითხოვს დღის წესრიგში დარჩეს საბერძნეთის საკითხი, რომელსაც შეუძლია მხოლოდ შეცდომაში შეიყვანოს გენერალური ასამბლეა.

მიუხედავად იმისა, რომ ამისათვის არავითარი საფუძველი არ არსებობდა, კომიტეტმა ხმის უმეტესობით დაადგინა—ურჩიოს გენერალურ ასამბლეას თავის დღის წესრიგში შეიტანოს საბერძნეთის საკითხი. სსრ კავშირისა და პოლონეთის დელეგაციებმა ხმა მისცეს ამ წინადადების წინააღმდეგ, ხოლო ფილიპინეთის დელეგატმა კენჭისყრაში თავი შეიკავა.

შემდეგ კომიტეტი გადავიდა „კორეის დამოუკიდებლობის პრობლემის“ საკითხზე. ა. ი. ვიშინსკიმ წინადადება შეიტანა ეს საკითხი გამოერიცხათ გენერალური ასამბლეის დღის წესრიგიდან. მან აღნიშნა, რომ საბჭოთა დელეგაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ამ საკითხის პირველი განხილვიდანვე მტკიცედ ამბობდა და ამბობს, რომ გადაწყვეტილება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგრეთ წოდებული კორეის კომისიის შექმნის შესახებ მიღებული იყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებისა და სსრ კავშირსა და შეერთებულ შტატებს შორის კორეის საკითხზე შეთანხმების დარღვევით.

უკანონოდ შექმნილი კომისია უკანონოდაც მოქმედებდა, ეროდა კორეის საშინაო საქმეებში და არღვევდა სუვერენულ უფლებებს კორეელი ხალხისას, რომელმაც მხარი დაუჭირა კორეის საბჭოთა-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას და აზრი გამოთქვა სეულის მარionეტული მთავრობის წინააღმდეგ,—ეს უკანასკნელი თავის ძალაუფლებას თავს აზღვევს კორეელ ხალხს მხოლოდ ტერორით და ამერიკის შეერთებული შტატების მხრივ კორეის საქმეებში ჩარევით.

შემდეგ გამოსულმა ჩინეთის დელეგატმა საბჭოთა დელეგატის წინადადების წინააღმდეგ წამოაყენა ერთადერთი „მოსაზრება“, რომ რამდენადაც კომისიამ უკვე შეადგინა მოხსენება, იგი განხილულ უნდა იქნესო.

კომიტეტმა ხმის იმავე უმეტესობით მიიღო წინადადება — ურჩიოს გენერალურ ასამბლეას შეიტანოს ეს საკითხი სესიის დღის წესრიგში. სსრ კავშირისა და პოლონეთის დელეგატებმა ხმა მისცეს ამ წინადადების წინააღმდეგ.

შემდეგ კომიტეტი გადავიდა საკითხზე ეგრეთ წოდებული სასესიათაშორისო კომიტეტის მოხსენების შესახებ. ეს კომიტეტი შეიქმნა გენერალური ასამბლეის ერთ-ერთ წინადღეს სესიაზე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დარღვევით. ვიშინსკიმ წინადადება შეიტანა ეს საკითხი გამოერიცხათ დღის წესრიგიდან. მან აღნიშნა, რომ კომიტეტი შექმნილი იყო სრულიად უკანონოდ და რომ ამ კომიტეტის მოხსენება გამორიცხულ უნდა იქნეს განხილვიდან თუნდაც ფორმალური საფუძვლით, რამდენადაც სასესიათაშორისო კომიტეტი შექმნილია ანტიკონსტიტუციური გზით. ამ კომიტეტის მოხსენება, თქვა მან, ისევე უფერული და უსარგებლოა, როგორც მისი სახელგატეხილი საქმიანობა. ასამბლეას არავითარი საფუძველი არა აქვს მისი მოხსენების განსახილველად, მით უმეტეს, რომ ასეთი საკითხები მხოლოდ ტვირთავენ სესიის დღის წესრიგს. მაგრამ კომიტეტის ჩვეულებრივმა უმრავლესობამ დაადგინა — ურჩიოს ასამბლეას შეიტანოს ეს საკითხი თავის დღის წესრიგში. სსრ კავშირისა და პოლონეთის დელეგაციებმა ხმა მისცეს ამ წინადადების წინააღმდეგ.

შემდეგ კომიტეტი გადავიდა საკითხზე წინადადების შესახებ—შეიქმნას ეგრეთ წოდებული „საველე სამსახური“—გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს მცველი რაზმი. ეს საკითხი, რომელიც უკანონოდ შექმნილი სასესიათაშორისო კომიტეტის წიაღში წარმოიშვა, უკვე გამხილულ იქნა გენერალური ასამბლეის წინა სესიაზე. ა. ი. ვიშინსკიმ აღნიშნა, რომ არავინ არ უნდა მოატყუოს როგორც იმის ცდამ, რომ ასეთი „მცველი რაზმის“ შექმნა დაასაბუთონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომისიების წევრთა დაცვის საჭიროებით მათი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, ისე ამ შეიარაღებული ძალების თვით სახელწოდებამ.

წინადადებას იმით ასაბუთებენ, რომ საჭიროა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პერსონალის დაცვა, თქვა ვიშინსკიმ, მაგრამ არსებითად საქმე ეხება იმას, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ სამდივნოსთან შეიქმნას შეიარაღებული რაზმი. ეს აშკარად ეწინააღმდეგება წესდების 43-ე მუხლს, სადაც ნათლად არის ნათქვამი, რომ შეიარაღებული ძალები შეიძლება შეიქმნას მხოლოდ უშიშროების საბჭოსთან. გენერალური მდივანი კი, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების ამ ძირითადი კანონის პირველი დამცველი უნდა იყოს, თვითონ არღვევს წესდებას.

ვიშინსკიმ აღნიშნა, რომ მცველი რაზმის შექმნის საბაბი ცდილობენ უკანონოდ შექმნან შეიარაღებული ძალები და ამით დაარღვიონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება. მათ, ვისაც არაერთგზის დაურღვევია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, რა თქმა უნდა, შეუძლიათ სცადონ და ამჯერადაც დაარღვიონ იგი. ჩვენ გაფრთხილებას ვიძლევით ამის წინააღმდეგ.

მაკნეილი (ინგლისი), კირუ (საბერძნეთი) და ზაფრულა-ხანი (პაკისტანი) დაეინებით მოითხოვდნენ ამ საკითხის დღის წესრიგში დატოვებას. მაკნეილმა განაცხადა, რომ მოხსენება „არცთუ ძალიან ხიბლავს“ მას და რომ მას შეეძლო ამ საკითხში დათანხმებოდა ვიშინსკის, მაგრამ გენერალურმა კომიტეტმა მხედველობაში უნდა მიიღოს, რომ დღის წესრიგში ამ მოხსენების დატოვების თხოვნლობდა გენერალური ასამბლეა და რომ მისი განხილვის გადადება „საქმიანი“ მოქმედება არ იქნებოდა.

პოლონეთის წარმომადგენელმა ლიაქსმა გაიმეორა ინგლისის წარმომადგენლის ცდის წინააღმდეგ — კომიტეტის მუშაობა განესაზღვრა ფორმალურ გადაწყვეტილებათა მიღებით დღის წესრიგში ამა თუ იმ საკითხის შეტანის თაობაზე გენერალური ასამბლეისათვის რჩევის მიცემის შესახებ. მან მხარი დაუჭირა საბჭოთა წარმომადგენლის მოთხოვნას სესიის დღის წესრიგიდან ამ საკითხის გამორიცხვის შესახებ.

პაკისტანის წარმომადგენელმა ზაფრულა-ხანმა გაიმეორა საბჭოთა წარმომადგენლის წინადადების წინააღმდეგ და თქვა, რომ მხოლოდ რაიმე „საგანგებო გარემოება“ შეუძლია ხელი შეუშალოს გენერალურ ასამბლეას დღის წესრიგში ამ საკითხის შეტანაში.

ა. ი. ვიშინსკიმ კვლავ აიღო სიტყვა და პაკისტანის წარმომადგენელს მიუთითა, რომ არსებობს ასეთი „საგანგებო გარემოება“. ეს არის წესდების 43-ე მუხლი, რომელსაც ივიწყებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ზოგიერთი წევრი. გენერალური კომიტეტი, თქვა ვიშინსკიმ, მექანიკურად არ უნდა მიუდგეს და არც შეუძლია მიუდგეს დღის წესრიგის დამტკიცებას. კომიტეტი ხორცის საკეპი მანქანა როდია, რომელმაც უნდა „გაატაროს“ ყველაფერი, რასაც შიგ ჩაადებენ; იგი უნდა გაერკვეს შემოტანილ საკითხებში და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა ურჩიოს გენერალურ ასამბლეას ამა თუ იმ საკითხის დღის წესრიგში შეტანა.

ვიშინსკიმ თქვა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგრეთ წოდებული მცველი რაზმი, როგორც ამას მოწმობს გენერალური მდივნის წერილი ფორმირებათა შედგენის, ორგანიზაციისა და სარდლობის პრინციპების შესახებ, ნამდვილი შეიარაღებული ძალა იქნება. მცველი რაზმის ჯარისკაცები დარაზმული იქნებიან სამხედრო შენაერთებად ოფიცრების მეთაურობით და ყაზარმულ მდგომარეობაში იცხოვრებენ. ვიშინსკიმ აღნიშნა, რომ „ასეთ მცველ რაზმს“, თუ იგი შეიქმნა, მოქმედება მოუხდება დამოუკიდებელ საბჭოთა ტერიტორიაზე, რომ მუდამ იქნება ამ საბჭოთა შეიარაღებულ ძალებთან შეტაკების საფრთხე. ამით შეიქმნება საფრთხე საერთაშორისო კონფლიქტების წარმოშობისა, რომლებშიც ერთ-ერთი მხარე იქნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეიარაღებული ძალები.

წინადადება მცველი რაზმის შექმნის შესახებ, თქვა დასასრულ ვიშინსკიმ, ანტიკონსტიტუციური, მავნე და საშიშია.

მაგრამ კომიტეტმა, როგორც მოსალოდნელი იყო, ამ საკითხზეც ხელიდან მიიღო გადაწყვეტილება ურჩიოს ასამბლეას სესიის დღის წესრიგში მისი შეტანა.

შემდეგ კომიტეტი გადავიდა საკითხზე, რომელსაც აქვს მუქარა სახელწოდება: „ბულგარეთისა და უნგრეთის მიერ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ“ და ავსტრალიის მთავრობის მიერ შემოტანილ დამატებით საკითხზე „რუმინეთის მთავრობის მიერ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ“.

საბჭოთა დელეგაციამ აღნიშნა ის გარემოება, რომ ასამბლეის დღის წესრიგში ამ საკითხების შეტანის ცდა ამ სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ამკარა ჩარევას წარმოადგენს.

საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ვიშინსკიმ აღნიშნა, რომ სასაცილოა იმითი განცხადებანი, ვინც მოითხოვს დღის წესრიგში შეტანილ იქნას საკითხი ბულგარეთში,

უნგრეთის სახელმწიფო დამნაშავის რაიკისა და მის თანამონაწილეთა სასამართლო პროცესი

ბრალდებულები თავს დამნაშავედ აღიარებენ და აცხადებენ, რომ ისინი იარაღი იყვნენ ტიტოსა და მისი ამერიკელი ბატონების ხელში

ბუდაპეშტი, 22 სექტემბერი. (საკდესი). ბუდაპეშტის სახალხო სასამართლომ, რომელიც რაიკისა და მის თანამონაწილეთა საქმეს განიხილავს, დღეს მოისმინა ბრალდებულთა უკანასკნელი სიტყვები. ბრალდებულები ცდილობენ შექმნან შთაბეჭდილება, რომ მთლიანად ინანიებენ დანაშაულს.

ბრალდებულმა ლასლო რაიკმა თავის უკანასკნელ სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ ყველაფერი, რაც მან ჩაიდინა, გაკეთებული იყო მისი საკუთარი ნებითა და შეგნებულად. მაგრამ, იმბობს იგი, უეჭველია, რომ რამდენადმე მე გავხდი იარაღი ტიტოსი, იმ ტიტოსი, რომელიც ჰიტლერის გზას დაადგა, იმ ტიტოსი, რომელიც ბალკანეთში განაგრძობს ჰიტლერის პოლიტიკას, იმ ტიტოსი, რომლის ზურგს უკანაც დგანან ამერიკელი იმპერიალისტები. დასასრულ რაიკმა განაცხადა, რომ, როგორიც უნდა იყოს განაჩენი, იგი მის მიმართ სამართლიანი იქნება.

ბრალდებულმა დიერდ პალფიმ განაცხადა, რომ მას შეგნებული აქვს იმ დანაშაულობათა მთელი სიმძიმე, რომლებიც მან თავისი ხალხისა და სამშობლოს წინააღმდეგ ჩაიდინა. მე სავსებით ვინანიებ ყველა ჩემს დანაშაულს, იმბობს იგი. მე ცხადად ვხედავ, იმბობს პალფი, თუ რა შედეგს გამოიღებდა ჩვენი გეგმების განხორციელება. უნგრელი ხალხის შემოქმედებითი მშვიდობიანი შრომის ნაცვლად—სისხლისმღვრელი სამოქალაქო ომი, მაღალი საარსებო დონის ნაცვლად —სიღატაკე, რომელშიც ჩაცვივდნენ მარშალიზებული ქვეყნები, თავისუფლების ნაცვლად— ამერიკელი იმპერიალისტებისა და მათი ტიტოელი აგენტების ძალაუფლება, მშვიდობის ნაცვლად — ახალი ომი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მსოფლიოს დამონების ამერიკული გეგმების განსახორციელებლად.

ჩვენი დანაშაული,—იმბობს პალფი,—მეტად დიდია. მაგრამ უფრო მეტი ბრალი ეკისრებათ ტიტოსა და რანკოვიჩს, რომლებიც სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში თავიანთი ამერიკელი ბატონების მითითებით ეწევიან ძირგამომთხრელ მუშაობას, რაც მიმართულია თავისუფლებისა და დემოკრატიის წინააღმდეგ. როცა მათ შეიტყეს ჩემი ფაშისტური მსოფლმხედველობა, გადამიბირეს და თავის სამსახურში დამაყენეს. ის მითითებანი, რომლებსაც ისინი მაძლევდნენ, უეჭველია, მოდიოდა თვით ტიტოსაგან. საქმე ეხება, რა თქმა უნდა, არა იუგოსლავიის დახვერვის მუშაკებს, არამედ თვით ტიტოს პირად გეგმებს, რომელიც ასეთ პოლიტიკას ახორციელებს სხვა ქვეყნებში და ასრულებს თავისი ამერიკელი ბატონების მითითებებს.

მე ვიცი, იმბობს პალფი, რომ ეს არ ამცირებს ჩემს დანაშაულს, მაგრამ მე მსურს თუნდაც ნაწილობრივ მოვინანიო იგი. მძიმე სასჯელის ლირსი ვარ, მაგრამ გთხოვთ მიიღოთ მხედველობაში ჩემი სანანული.

ბრალდებული ლაზო ბრანკოვი აღიარებს ყველა თავის დანაშაულს, მაგრამ ცდილობს შეამსუბუქოს თავისი ბრალი მიღლომ მოიჩის მოკვლის მოწყობის საქმეში. იგი იმბობს, რომ დანაშაული ჩაიდინა, რაკი მოქმედდა ტიტოსა და რანკოვიჩის ბრძანებით, რომლებიც მკაცრად უსწორებდნენ ანგარიშს იმათ, ვინც მათ არ ემორჩილებოდა.

— ტიტოსა და რანკოვიჩის დავალებათა შესრულებით მე გავხდი, — იმბობს ბრანკოვი, — მტერი ჩემი ხალხისა, რომლის თავისუფლებისთვისაც 4 წელიწადს ვიბრძოდი იუგოსლავ პარტიზანთა რიგებში.

ბრანკოვი აცხადებს, რომ იგი მკაცრი სასჯელის ლირსია.

ბრალდებული ტიბორ სენნი აცხადებს, რომ მისი ჩვენება მოწმობს სინანულს.

— ჩვენი საზიზღარი გეგმები, — იმბობს იგი, —მიმართული იყო იმისაკენ, რომ დაგვენგრია უნგრელი ხალხის ბედნიერება, წაგვერთმია მისთვის თავისუფლება, გადაგვექცია უნგრეთი ამერიკის იმპერიალიზმის კოლონიად. ჩემი დანაშაული მეტად დიდია. მხოლოდ გთხოვთ მხედველობაში მიიღოთ ჩემი მონანიება.

ბრალდებული ანდრაშ სალაი იმბობს, რომ მას ესმის მის მიერ ჩადენილი დანაშაულის მთელი სიმძიმე, მაგრამ სასამართლოს სთხოვს შეუნარჩუნოს სიცოცხლე იმისათვის, რომ შეძლოს გამოისყიდოს თავისი დანაშაული უნგრელი ხალხის წინაშე.

მილან ოგნენოვიჩი აცხადებს, რომ შეგნებული აქვს მთელი თავისი დანაშაული, მაგრამ თხოულობს მიიღონ მხედველობაში ის გარემოება, რომ შექმნილ პირობებში იგი გახდა ტიტოელთა იარაღი. იგი იგივეთი თხოულობს შეუნარჩუნონ სიცოცხლე.

ბრალდებული ბელა კორონდი იმბობს, რომ აღიარებს მთელ დანაშაულს, რაც მას აკისრია, როგორც ანტისახელმწიფოებრივი შეთქმულების აქტიურ მონაწილეს. ბრალდებული სთხოვს სასამართლოს მიიღოს მხედველობაში ის გარემოება, რომ მან მთლიანად აღიარა ჩადენილი დანაშაულობანი.

ბრალდებული პალ იუსტუსი ლაპარაკობს იმაზე, რომ მთელი მისი დანაშაულის მიზეზები, იმის მიზეზი, რომ იგი უცხოელის ჯაშუში გახდა, იყო მისი ტროცკისტული შეხედულებანი. მან განაცხადა, რომ მთლიანად ინანიებს ჩადენილ დანაშაულს.

ამის შემდეგ სახალხო სასამართლოს თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ სასამართლოს განაჩენი გამოქვეყნდება 24 სექტემბერს დილით.

ბუდაპეშტის სახალხო სასამართლოს განაჩენი სახელმწიფო დამნაშავე რაიკისა და მის თანამონაწილეთა საქმეზე

ბუდაპეშტი, 24 სექტემბერი. (საკდესი). 24 სექტემბერს ბუდაპეშტის სახალხო სასამართლომ, რომელიც განიხილავდა ნახელმწიფო დამნაშავეთა ჯგუფის, უნგრელი ხალხის მოღალატეთა ტროცკისტულ-ჯაშუშური ბანდის—რაიკისა და მის თანამონაწილეთა საქმეს, — გამოაქვეყნა განაჩენი:

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის არსებული კანონების საფუძველზე ბუდაპეშტის სახალხო სასამართლოს სპეციალურმა კოლეგიამ პეტერ იანკოს თავმჯდომარეობით მთავარ ბრალდებულს ტიბორ სენნისა და ანდრაშ სალაის აგრეთვე სიკვდილი მიესაჯათ. ლაზო ბრანკოვსა და პალ იუსტუსს მიესაჯათ სამუდამო პატიმრობა საკატორღო საპყრობილეში, მილან ოგნენოვიჩს — 9 წლის პატიმრობა საკატორღო საპყრობილეში.

დიერდ პალფისა და ბელა კორონდის, როგორც სამხედრო მოსამსახურეების, საქმეები გადაეცა სამხედრო ტრიბუნალს.

გამოხმაურება უნგრეთის სახელმწიფო დამნაშავის რაიკისა და მის თანამონაწილეთა სასამართლო პროცესზე

ბუდაპეშტის პროცესმა ცხადყო ტიტოს ფაშისტური ხროვისა და მისი იმპერიალისტი ბატონების საზიზღარი მეთოდები

სტოკჰოლმი, 23 სექტემბერი. (საკდესი). შვეციის კომუნისტური პრესა აქვეყნებს დაწვრილებით ანგარიშებს უნგრეთის სახელმწიფო დამნაშავის რაიკისა და მის თანამონაწილეთა პროცესის მსვლელობის შესახებ.

ბუდაპეშტში სასამართლო პროცესისადმი მიძღვნილ მოწინავე სტატიაში გაზეთი „ნიუ დაგი" წერს: „კაპიტალისტების ჯაშუშური ცენტრები განსაკუთრებით ენერგიულ ღონისძიებებს ხმარობენ, რათა კომპარტიებში შეგზავნონ თავისი აგენტები და ისინი სახელმძღვანელო პოსტებზე დააყენონ ამ ქვეყნებში, სადაც მუშებმა თავიანთ ხელში აიღეს ძალაუფლება. კაპიტალიზმმა რაიკი და რანკოვიჩი სწორედ ისეთე გადაიბირა, როგორც ბევრი სხვა მხილებული ჯაშუში და აგენტი. ისინი თავის დროზე დააპატიმრეს „რეფოლუციური საქმიანობისათვის" და დაიყენეს არჩევანის წინაშე: ან ფაშიზმის ჯაშუშური ცენტრების აგენტები გამხდარიყვნენ, ანდა დეენა განეცადნათ. მათ შეეშინდათ მუქარისა, დათანხმდნენ ამ ჯაშუშური ცენტრების აგენტები გამხდარიყვნენ და მთლიანად მათს ხელში აღმოჩნდნენ. იმის მეოხებით, რომ კაპიტალისტური ქვეყნების ჯაშუშურ ცენტრებს შორის არსებობს საერთაშორისო თანამშრომლობა, რაიკი შემდეგში დააყენეს ჰიმლერის გესტაპოს სამსახურში, მერმე კი ამერიკის დაზვერვის სამსახურში, რომლის წარმომადგენელიც ალენ დალესი იყო. ტიტოს წრეს ასეთივე წარსული აქვს. ეს გამოაშკარავებულ იქნა რაიკისა და მის თანამონაწილეთა საქმის ჯერ კიდევ წინასწარი გამოძიების დროს. თავდაპირველად რაიკი და ტიტოს ხროვის წამყვანი წევრები მუშაობდნენ ფაშისტებისა და დოლარის მეფეების ჯაშუშური ქსელის სხვადასხვა სექციაში, მაგრამ შემდეგ მათმა ბატონებმა ერთი მიმართულებით საშუშაოდ დარაზმეს ისინი.

ბუდაპეშტის პროცესმა შუქი მოფინა ბევრ გარემოებას, რომლებიც წინათ უცნაურად გვეჩვენებოდა.

მეორე მსოფლიო ომის დროს დასავლეთი სახელმწიფოები აბრკოლებდნენ წინააღმდეგობის მოძრაობის ყველა იმ ორგანიზაციის საქმიანობას, რომლებიც კომუნისტების ხელმძღვანელობით მოქმედებდნენ. ერთადერთ გამონაკლისს ტიტო შეადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ იგი კომუნისტად ითვლებოდა, ინგლისელები და ამერიკელები გულმოდგინედ ამარაგებდნენ მას იარაღით ჰაერიდან. გარდა ამისა, იგი პირადად ინახულა უინსტონ ჩერჩილის შვილმა რანდოლფ ჩერჩილმა, რომელიც ძალიან დიდ ხანს იყო მისი სტუმარი. ახლა ჩვენ ვიცით რატომ.

როგორც ცნობილია, ჩერჩილი საბოტაჟს უწევდა დასავლეთ ევროპაში მეორე ფრონტის გახსნას. ამის ნაცვლად იგი მოითხოვდა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე გადაესვათ ინგლისის ჯარები. დასავლეთ სახელმწიფოებს, ამ გეგმის თანახმად, უნდა დაეკავებინათ მთელი ბალკანეთის ნახევარკუნძული, რათა ამით თავიდან აეცილებინათ ბალკანეთში სოჭოთა არმიის შეჭრა. მაგრამ მათ სათანადოდ ვერ შეაფასეს საბჭოთა არმიის დამრტყმელი ძალა. ამიტომ მათ დაუგვიანდათ თავისი გეგმების განხორციელება. მაგრამ ინგლის-ამერიკის დაზვერვის ორგანიზაციები არსებობას განაგრძობდნენ. უწინარეს ყოვლისა, ეს ეხებოდა ტიტოს ხროვას. კაპიტალიზმმა ამოცანად დასახა ახალხო დემოკრატიის ქვეყნები შიგნიდან დაეპყრო. ძველ ფაშისტურ ბანდებსა და კაპიტალისტურ ხროვებს ამის გაკეთება არ შეეძლოთ. ისინი განადგურებულ იქნენ პოლონეთში. ხალხის მასების მობილიზაციამ ჩეხოსლოვაკიაში 1948 წლის თებერვალში დაგეგმილი რეაქციული პუტჩის წინააღმდეგ ძლიერი მახვილი ჩასცა დასავლეთის კაპიტალიზმს. პეტკოვის პროცესმა ბულგარეთში და მინდსენტის პროცესმა უნგრეთში გააფართოეს და გააძლიერეს ეს დარტყმა.

იუგოსლავიაში საერთაშორისო კაპიტალიზმმა მოაბრახა თავისი აგენტები ჰყოლოდა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობასა და სახელმწიფო აპარატში. საერთაშორისო კაპიტალიზმმა თავისი მზვერავები დააყენა საკვანძო პოსტებზე იუგოსლავიაში და დაიწყო საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისაგან იუგოსლავიის ჩამოშორების გეგმის განხორციელება. ამავე დროს იუგოსლავიაში დამყარებულ იქნა უსასტიკესი ტერორი სოციალიზმის ყველა მომხრის წინააღმდეგ. ტიტოს ხროვა განაგრძობდა სიტყვით რეკოლუციური კურსის დაცვას, მაგრამ მალე გამორკვა, რომ ნამდვილად მისი გეგმა იყო იუგოსლავიაში კაპიტალიზმის აღდგენა. იუგოსლავიის ხალხებს ბევრი რამ აქვთ ამის გამო სათქმელი ახლა, როცა ტიტო ცხადყოფს თუ ვის დავალებას ასრულებს იგი".

„რაიკისა და მის თანამონაწილეთა პროცესზე, — წერს დასასრულ გაზეთი, — მთელი მსოფლიოს საზოგადოებრიობის წინაშე მხილებულია კაპიტალიზმის მიერ გამოყენებული ბრძოლის მეთოდები და ტიტოს რეჟიმის ის საზიზღარი მოქმედება, რასაც იგი იმპერიალიზმის საამებლად სჩადის".

ჩინეთის სახალხო პოლიტიკურ საკონსულტაციო კონფერენციაზე

პეიპინი, 22 სექტემბერი (საკდესი). როგორც სინხუას საგენტო გადმოგვცემს, თავისი მუშაობის მეორე დღეს ჩინეთის სახალხო პოლიტიკურმა საკონსულტაციო კონფერენციამ მოისმინა და მოიწონა სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო კონფერენციის მოსამზადებელი კომიტეტის მოხსენება, რომელიც გააკეთა მოსამზადებელი კომიტეტის გენერალური მდივნის მოვალეობის შემსრულებელმა ლინ ძუ-ხანმა.

კონფერენციამ მოისმინა აგრეთვე მოსამზადებელი კომიტეტის მიერ წარდგენილი სამი მნიშვნელოვანი მოხსენება. სამი სახალხო პრინციპის ამხანაგური ასოციაციის წევრმა ტან პინ-შანმა გააკეთა მოხსენება ჩინეთის სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო კონფერენციის საორგანიზაციო სტატუტის პროექტის შესახებ. მოხსენება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის საორგანიზაციო სტატუტის პროექტის შესახებ გააკეთა ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა დუნ ბი-უმ. მოხსენება სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო კონფერენციის საერთო პროგრამის პროექტის შესახებ გააკეთა ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა ჯოუ ენ-ლაიმ.

სხდომის დასაწყისში კონფერენციამ მიიღო ჯოუ ენ-ლაის მიერ პრეზიდიუმის სახელით წარდგენილი გადაწყვეტილებანი, რომლებიც შეეხება პრეზიდიუმის 31 კაცისაგან შემდგარი მუდმივი კომიტეტის არჩევას, ჩინეთის სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო კონფერენციის პირველი პლენარული სესიის მუშაობის წესებს, აგრეთვე კონფერენციის დღის წესრიგს.

შექმნილია 6 ქვეკომიტეტი, რომლებიც მუშაობენ დელეგატების მიერ წარდგენილ წინადადებათა კონფერენციის რეზოლუციაში შესატანად.

პეიპინი, 23 სექტემბერი. (საკდესი). როგორც სინხუას საგენტო გადმოგვცემს, ორატორებმა, რომლებიც ჩინეთის სახალხო პოლიტიკურ საკონსულტაციო კონფერენციაზე გამოვიდნენ ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მაო ძე-დუნის შესაფალი სიტყვის შემდეგ, მტკიცე რწმენა გამოთქვეს, რომ კონფერენციას წარმატება ექნება. მუშების, გლეხების, სახალხო განმათავისუფლებელი არმიის, ინტელიგენციის, ეროვნული ბურჟუაზიის, ეროვნული უმცირესობებისა და საზღვარგარეთ მცხოვრები ჩინელების სახელით მათ ილაპარაკეს ჩინელი ხალხის დიად ერთიანობაზე და უსაზღვრო რწმენა გამოთქვეს, რომ ახალი ჩინეთის მშენებლობაში დაძლეულ იქნება ყველა სიძნელე ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით და მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ძალების დახმარებით, რომლებსაც სათავეში უდგანან საბჭოთა კავშირი და სახალხო დემოკრატიის ქვეყნები.

შორეულ აღმოსავლეთში ახალი სამხედრო ბაზების შექმნის ამერიკული გეგმები

ჰაგა, 22 სექტემბერი. (საკდესი). გაზეთი „დე ვაარჰეიდი" წერს შორეულ აღმოსავლეთში სამხედრო ბაზების შექმნის ამერიკული გეგმების შესახებ. გაზეთი იუწყება, რომ ამერიკელებს სურთ ხელში ჩაიგდონ არა მარტო სურაბაია (კუნძულ იავაზე), არამედ ისეთი უმნიშვნელოვანესი ბაზებიც, როგორიცაა სინგაპური და ჰონკონგი.

„როგორც ამჟამად ცნობილი გახდა, — წერს გაზეთი „დე ვაარჰეიდი" — აგვისტოს შუა რიცხვებში ჩინეთის ამბებთან დაკავშირებით შიდგა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის სხდომა, რომელზეც დეტალურად იქნა განხილული შორეულ აღმოსავლეთში ამერიკელთა პოზიციების განმტკიცების გეგმა. სახელმწიფო დეპარტამენტს ანესონის ხელმძღვანელობით დაეკალა ყოველი ღონე იხმაროს, რათა მიიღოს ინგლისისა და საფრანგეთის ბაზები შორეულ აღმოსავლეთში. როგორც ირკვევა, შორეულ აღმოსავლეთში, სურაბაიის გარდა, ამერიკელებს სურთ მიიღონ აგრეთვე ინგლისისაგან სინგაპური და ჰონკონგი — ბრიტანეთის იმპერიალიზმის ორი სიმაგრე, ბრიტანეთის სიმძლავრის სიმბოლოები. გარდა ამისა, ამერიკელები მოითხოვენ, რომ მათ სტრატეგიული პოზიციები მისცენ სარავაკში (ბორნეოს ინგლისური ნაწილი), ქოქოსის კუნძულზე და ბატანიზე (ნახევარკუნძული მალაკა). საფრანგეთმა ამერიკელებს ორი ბაზა უნდა მისცენ ინდოჩინეთში, მათ შორის ჰაიფონი. ბირმას მოსთხოვენ, რომ მან ამერიკელებს ბაზა მისცეს აკიაბში".

რუმინეთის საზოგადოებრიობა აღნიშნავს რუმინეთან თურქეთის ჯარების განადგურების 160 წლისთავს

ბუქარესტი, 22 სექტემბერი. (საკდესი). ფუშინ რუმინეთ-სერეტის მაზრის სოფელ პლინიშეშტში საზეიმო ვითარებაში აღნიშნულ იქნა ისტორიული თარიღი — რუსეთის ჯარების მიერ გენიალური რუსი მხედართმთავრის ალექსანდრე ვასილის-ძე სუვოროვის სარდლობით თურქეთის ჯარების განადგურების 160 წლისთავი.

ბრძოლის ადგილზე სუვოროვის ძეგლისაგან, რომელიც 1913 წელს დიდგა, დარჩა მხოლოდ კვარცხლბეკი. რუმინეთის მთავრობის გადაწყვეტილებით ეს ძეგლი აღდგენილ იქნება პირვანდელი სახით.

მოედანი მორთულია რუმინეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით, მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის პორტრეტებით, აგრეთვე რუმინეთის მთავრობის წევრებისა და რუმინეთის მუშათა პარტიის ხელმძღვანელთა პორტრეტებით. კვარცხლბეკის ახლოს არის ა. ვ. სუვოროვის დიდი პორტრეტი.

ზეიმს დაესწრნენ რუმინეთის მთავრობისა და რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები, მათ შორის: ეროვნული თავდაცვის მინისტრი გენერალ-პოლკოვნიკი ე. ფოდნარაში, შრომის საყოველთაო კონფედერაციის თავმჯდომარე გ. აპოსტოლი, მშრომელი ახალგაზრდობის კავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ფლორესკუ, გზათა მინისტრი ნ. პოფეირი, აკადემიკოსი მ. სოკორი, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრის მოადგილე გენერალ-ლეიტენანტი პეტრე ბორილა და რუმინეთის არმიის სხვა გენერლები. ზეიმს დაესწრნენ აგრეთვე საბჭოთა არმიის წარმომადგენლები.

მოედანზე ჩამწკრივებული არიან რუმინეთის არმიის ქვეითი ნაწილები. აქ მოვიდნენ ხუქარესტის პროფკავშირული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, რუმინული და უკბოეთის პრესის წარმომადგენლები, ნოვიდნენ ახლომახლო სოფლების გლეხები, პიონერები და მოსწავლეები.

სიტყვა წარმოთქვა გენერალ-მაიორმა ემილ პოპამ.

ორატორმა გამარჯვება უსურვა რუსეთის იარაღს და საბჭოთა არმიას, იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს. მისი სიტყვები შეერთო დამსწრეთა მძლავრ „ეშას" და მეუხარე ხანგრძლივ ტაშს.

შემდეგ გამოსული ქალაქ რიმნიკულ-სერეტის ფაბრიკის მუშა ელისაბედ ლავრიე მადლობთ ლაპარაკობს საბჭოთა კავშირის უანგარო დახმარებაზე.

სოფელ ბერეჩანუს 7 ნოემბრის საბელნიის კოლექტიური მეურნეობის თავმჯდომარე ტუდორ რადუ ლაპარაკობს ახალ ცხოვრებაზე, რასაც ქმნიან გლეხები, რომლებმაც მიწა მიიღეს ჰიტლერელ მჩაგვრელებზე საბჭოთა არმიის გამარჯვების მეოხებით.

ორატორებს სიტყვას ხშირად აწყვეტინებენ საზეიმო შეძახილებით რუმინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის, რუმინეთის მუშათა პარტიის ხელმძღვანელთა პატივსაცემად, მისი გენერალური მდივნის გეორგიუ დეჟის პატივსაცემად, იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის პატივსაცემად.

შემდეგ სოფელ ბერეჩანუს დროებითი სახალხო კომიტეტის თავმჯდომარე კითხულობს დიდი ეროვნული კრების პრეზიდიუმის ბრძანებულებას სოფელ პლინიშეშტისათვის სუვოროვის სახელის დარქმევის შესახებ.

ბრძანებულება მხურვალე ხანგრძლივ ტაშს იწვევს.

მიტინგის მონაწილენი - რიმნიკულ-სერეტის მაზრის მოქალაქეთა სახელით უდიდესი აღფრთოვანებით იღებენ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინისადმი მისასალმებელი დეპეშის ტექსტს.

მიტინგის შემდეგ ჯარებმა ცერემონიული მარშით ჩაუარეს ტრიბუნას. დასასრულ შედგა კონცერტი რუმინეთის არმიის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის, აგრეთვე ადგილობრივი საბოსფელო თვითმოქმედი ქორეოგრაფიული წრის მონაწილეობით.

ბულგარეთში გაუქმდა შაქრის ბარათები

სოფია, 23 სექტემბერი. (საკდესი). ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ გაუქმა შაქრის საბარათო სისტემა და დაიწყო 23 სექტემბრიდან მთელ ბულგარეთში შაქრის თავისუფლად გაყიდვა. შაქრის ახალი ერთიანი საცალო ფასები თითქმის 40 პროცენტით ნაკლებია წინანდელ ფასებზე.

შრომის საყოველთაო კონფედერაცია ფრანკის დევალვაციის შესახებ

პარიზი, 23 სექტემბერი. (საკდესი). შედგა შრომის საყოველთაო კონფედერაციის ბიუროს სხდომა, მიძღვნილი მთავრობის გადაწყვეტილებისადმი ფრანკის დევალვაციის შესახებ. სხდომის დამთავრების შემდეგ გამოქვეყნებულ კომუნიკეში, კერძოდ, ნათქვამია: „დევალვაცია შედეგია საფრანგეთში მარშალის გეგმის განხორციელებისა. ფულუბრკვლობა იქნება, რომ დევალვაციისაგან მოველოდეთ ექსპორტის გადიდებას კაპიტალისტურ ქვეყნებში, სადაც კრიზისი ვითარდება, რადგან მარშალის გეგმა კრძალავს სხვა ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობის განვითარებას. დევალვაციის გარდუვალი შედეგი იქნება ფასების ახალი ზრდა, რის წინააღმდეგ განზრახულია იბრძოლონ ტრესტების სასარგებლოდ ისეთი ღონისძიებებით, როგორიცაა პროდუქციის თვითღირებულების შემცირება, მშრომელთა ზეშესრულებაცია და მშრომელების სოციალურ საჭიროებათა ხარჯების შემცირება.

დევალვაცია ხელს უწყობს ამერიკელ კაპიტალისტების ანაბრებს საფრანგეთში და მის ზღვასიქითა ტერიტორიებზე. იგი მიმართულია იმისაკენ, რომ უფრო დაუმორჩილონ საფრანგეთი ამერიკელი კაპიტალისტების ნებას და ამავე დროს გააძლიერონ განზეთქილება იმ ქვეყნებთან, რომელთა სახალხო მეურნეობა უკრიზისოდ ვითარდება".

შრომის საყოველთაო კონფედერაცია მუშათა კლასს მოუწოდებს „მტკიცედ იბრძოლოს თავისი საარსებო ინტერესების ახალი ხელყოფის წინააღმდეგ".

„მუშათა კლასის მოქმედების ერთიანობას,— ნათქვამია კომუნიკეში, — შეუძლია მოსპოს ახალი და დიდი საფრთხე, რომელიც მას მოელს, და მიაღწიოს საჭირო ცვლილებას, რათა ბოლო მოეღოს პოლიტიკას, რომელსაც ფრანგი ხალხი სიღატაკის, კატასტროფისა და ომისაკენ მიჰყავს".

ინგლისში ღიდ უკმაყოფილებას გამოთქვამენ გირვანქა სტერლინგის დევალვაციის გამო

ლონდონი, 23 სექტემბერი. (საკდესი). იმასთან დაკავშირებით, რომ გირვანქა სტერლინგის დევალვაციამ ინგლისში ძლიერი უკმაყოფილება გამოიწვია, ინგლისის მთავრობამ, პრესის ცნობების თანახმად, გადაწყვიტა დაკმაყოფილოს ოპოზიციის მოთხოვნა მომავალ კვირაში პარლამენტის რეგულარულ სხდომის მოწვევის შესახებ. ლეიბორისტული მთავრობის ხელმძღვანელები, პირველ რიგში ეტლი და კრიპსი, აპირებენ პარლამენტის ტრიბუნა გამოიყენონ იმისათვის, რომ გადაწყვეტილება გირვანქა სტერლინგის დევალვაციის შესახებ წარმოუდგინონ ინგლისელ ხალხს, როგორც „ერთადერთი შესაძლებელი" გამოსავალი, რომელიც ვითომც წყვეტს ინგლისის ყველა ეკონომიურ სიძნელეს.

დევალვაციით გამოწვეული ფართო უკმაყოფილება მოსახლეობაში, მათ შორის ლეიბორისტული პარტიის რიგით წევრებსა და პარლამენტის ლეიბორისტულ წევრებს შორის, ლეიბორისტული მთავრობის პოზიციას მომავალ კამათში მეტად მძიმეს ხდის. როგორც პრესა იუწყება, ლეიბორისტული პარტიის ხელმძღვანელობა ამირებს ამასთან დაკავშირებით პარლამენტის ბანსამდე ერთი დღით ადრე მოიწვიოს პარლამენტის ლეიბორისტული ფრაქციის სხდომა და, როგორც ინგლისელ ლეიბორისტებს სჩვეოდათ, დახურულ სხდომაზე დააშოშმინონ ყველა უკმაყოფილო და ურჩი, რეპრესიებით დაემუქრონ მათ და ხმა მიაცემინონ მთავრობისათვის.

გაზეთი „ივენინგ სტანდარდი" ამასთან დაკავშირებით წერს: „მთავრობა სერიოზულ კრიტიკას მოელის ლეიბორისტული პარტიის რიგითი წევრების მხრივ, რომელთაც ყველაზე მეტად აწუხებთ ის გარემოება, თუ რა გავლენას მოახდენს დევალვაცია ცხოვრების ღირებულებაზე. მინისტრებს ამედი აქვთ კრიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილი ჩაახშონ ლეიბორისტული პარტიის საპარლამენტო ფრაქციის დახურულ სხდომაზე, რომელიც თემთა პალატაში კამათის დაწყების წინადღეს შედგება. მთავრობას სურს თავიდან აიცილოს ისეთი ვითარება, რომელიც თუნდაც შორეულად მოაგონებს მას ამბოხებას კენჭისყრის დროს.

ბულგარეთი ოლიმპიადების დათვალიერება

სამხატვრო ოლიმპიადა

სტალინირი. (ხაკ. კორ.). ამ დღეებში კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სტალინირის სახელმწიფო თეატრში ჩატარდა საბრძოლო ოსეთის მხატვრული თვითმოქმედების საოლქო ოლიმპიადა. ოლიმპიადაში მონაწილეობდნენ სტალინირის, ჯავის, ლენინგორის, ზნაურის რაიონების და ქალაქ სტალინირის თვითმოქმედი გუნდები, წრეები, ინდივიდუალური შემსრულებლები.

წარმატება ხვდა ჯავის რაიონულ კლუბთან არსებულ მოცეკვავეთა წრეს (ხელმძღვანელი დ. თედეევი). ამ წრის მოცეკვავეებმა დიენოსტატობით შეასრულეს ოსური ხალხური ცეკვები „ზოლგა", „შეჯიბრება", „სიმდი". კარგი იყო ზნაურის რაიონულ კლუბთან არსებული მომღერალთა გუნდის (ხელმძღვანელი ვ. ნადირაძე) მიერ შესრულებული „სიღერა სტალინზე", „სამშობლოსათვის", სტალინისათვის".

ლენინგორელმა ე. ხოცუაშვილმა დიდი ოსტატობით წაიკითხა ა. სურკოვის ცნობილი ლექსი — „ხმა აღმოალეთ, პატიოსანო ადამიანებო".

მომღერალთა გუნდმა, რომელსაც გ. ხუციანაშვილი ხელმძღვანელობს (ლენინგორის რაიონი), სიმღერანი ორკესტრის თანხლებით საუცხოოდ შეასრულა „ოროველა", „ინდოეთის პეპელა".

მომღერალმა ვ. კოლოსოვმა (ქ. სტალინირი) ყურადღება მიიპყრო კარგად დამუშავებული სიმღერებით — „თანამემამულეები" და „მეზღვაურის ღამეები".

ოლიმპიადაზე მკრთალად იყო წარმოდგენილი სტალინირის რაიონი.

ქუთაისი

მხატვრული თვითმოქმედების საქალაქო დათვალიერებაში მონაწილეობა მიიღო ქუთაისის საწარმო-დაწესებულებათა უმრავლესობამ.

დათვალიერებაზე წარმატება მოიპოვა საავტომობილო ქარხნის მომღერალთა გუნდმა პ. ბუხაიძის ხელმძღვანელობით. გუნდმა კარგად შეასრულა სიმღერები: „ინდუსტრიული ქუთაისი", „სიმღერა ბერიაზე", „სიმღერა სტალინზე", „სიმღერა ავტოქარხანაზე" და სხვ.

საუცხოო მომზადება გვიჩვენა საკონსერვო ქარხნის მომღერალთა გუნდმა გ. სიხარულიძის ხელმძღვანელობით.

ზემოხსენებულ გუნდებს ყიურიმ პირველი ადგილი მიეკუთვნა. მეორე ადგილზე გამოვიდა აბრეშუმის კომბინატის მომღერალთა გუნდი ბ. ლოლობერიძის ხელმძღვანელობით.

კარგად მომზადებული მოვიდნენ დათვალიერებაზე ქალაქის კულტურის სახლის და სამკერვალო ფაბრიკის მომღერალთა გუნდები.

ქორეოგრაფიული კოლექტივებიდან პირველი ადგილი მიეკუთვნა ყარო-მუნჯიძის საზოგადოების მოცეკვავეებს შ. იაშვილის ხელმძღვანელობით. მათ მიერ შესრულებული რეპერტუარიდან აღსანიშნავია „სიმდი", „დავლური", „საკოლმეურნეო" და სხვ.

მეორე ადგილი საავტომობილო ქარხნის მოცეკვავეთა კოლექტივს მიეკუთვნა.

საყოველთაო მოწონება დაიმსახურეს აბრეშუმის კომბინატის და სამკერვალო ფაბრიკის მოცეკვავეთა კოლექტივებმა.

კარგი შთაბეჭდილება დატოვა ქალაქის კულტსახლის თეატრალურმა კოლექტივმა, რომელმაც წარმოადგინა ვ. კატაევის პიესა „პოლკის შვილი". ასევე კარგად წარმოადგინა აბრეშუმის კომბინატის თეატრალურმა წრემ ა. წერეთლის „გამზრდელი" (პიესად გადაკეთებული).

ბორი

ბორი. (ხაკ. კორ.). ჩატარდა მხატვრული თვითმოქმედების წრეების რაიონული დათვალიერება. დათვალიერების ყიურიმ საქართველოს რესპუბლიკურ ოლიმპიადაში მონაწილეობის უფლება მიანიჭა ბორის კულტსახლის თვითმოქმედ წრეს, რომელმაც წარმოადგინა მონტაჟი „ქართული განთიადი", ინდივიდუალურ შემსრულებლებს გ. სოიტაშვილს, ვ. წერეთელს, მ. ედიშერაშვილს, ნ. მრულიშვილს, ე. პავლიაშვილს, მარადაშვილს, ა. ფერაძეს, საგანელიძეს და სხვებს.

ლექცია

საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება სამშაბათს, 27 სექტემბერს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის „უდიტორიაში (ფურცელაძის ქ. № 1) ა